მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

მორღვეული ზღუდე ივერიისანი

ანუ

ვინ და რატომ „იღვწის“ საქართველოში მწვალებლური წიგნების გასავრცელებლად?

თბილისი 2018წ.

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

ვინ და რატომ „იღვწის“ საქართველოში მწვალებლური წიგნების გასავრცელებლად?

1. მიაგეთ ღმერთს ღმრთისა და ალფეევს - ალფეევისა

2. ალექსი ოსიპოვი - ალფეევის კლონი და ეშმაკის კლოუნი

3. პროტოპრესვიტერ შმემანის სექტანტურ-პროტესტანტული შიზოფრენია

4. მიტროპოლიტ ანტონ სუროჟელის მატერიალიზმი და რელიგიური ინდიფერენტიზმი

თბილისი 2018წ.

უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს
კათოლოკის–პატრიარქს, ილია II–ს,
კათოლიკოს–პატრიარქის თანამესაყდრეს, მიტრ. შიოს,
კათოლიკოს–პატრიარქის ქორეპისკოპოსს, მიტრ. თეოდორეს,
კათოლიკოს–პატრიარქის ქორეპისკოპოსს, ეპისკოპოს იაკობს

დაგვლოცეთ უწმინდესო, დაგვლოცეთ მეუფეებო

მოგმართავთ ერთ მეტად საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით. საქართველოს საეკლესიო მაღაზიები გაივსო სულის წარმწყმედი, მწვალებლური, მოდერნისტული ლიტერატურით. განსაკუთრებით მომრავლდა რუსი მოდერნისტების, ეკუმენისტი სასულიერო თუ საერო პირების ნათარგმნი ლიტერატურა (ზოგიერთი მათგანის შესახებ გაწვდით მამხილებელ წერილებს).

სამწუხარო და შემაშფოთებელი ის არის, რომ ყოველ ამ წიგნს მიღებული აქვს საპატრიარქოს გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის ვიზა. აღნიშნული დეპარტამენტის ბეჭედი კი მათ გზას უხსნის საეკლესიო მაღაზიებისკენ, საიდანაც ისინი ვრცელდება ფართო წრეებში. შედეგად სხვადასხვა მწვალებლური და მოდერნისტული სწავლებებით იწამლება მკითხველი, სემინარია–აკადემიის სტუდენტები, სარწმუნოებრივ საკითხებში გაუთვითცნობიერებელი და გამოუცდელი ხალხი. ეს ვითარება წლებია გრძელდება.

რამდენიმე წლის წინ აღნიშნულ დეპარტამენტს მივმართეთ მათ მიერ ვიზირებული ლიტერატურის მამხილებელი წერილით, მაგრამ ამით ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა, – მსგავსი წიგნების ვიზირება კვლავ გრძელდება. აქედან გამომდინარე ჩვენ ვასკვნით, რომ საქმე გვაქვს არა რაიმე გამონაკლის შეცდომებთან, არამედ არჩეულ გზასთან, გაცნობიერებულ ქმედებასთან. სრულიად აშკარაა, რომ აღნიშნული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი ვერ ან არ ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, არ ავლენს და გზას არ უღობავს ანტიეკლესიური ლიტერატურის გავრცელებას, – იმას, რისთვისაც, სახელდობრ, შეიქმნა აღნიშნული განყოფილება.

მოგმართავთ თხოვნით, რათა განიხილოთ ჩვენ მიერ წარმოდგენილი პრობლემა და მიიღოთ გადაწყვეტილება, რომელიც დაიცავს საეკლესიო სივრცეს დამღუპველი სწავლებების შემცველი ლიტერატურისაგან.

შეგვინდეთ, დაგვლოცეთ და მოგვიხსენიეთ ლოცვებში.

(ამ წერილს ხელი მოაწერა მრევლის მრავალმა წარმომადგენელმა)

მორღვეული ზღუდე ივერიისანი

ქრისტეს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა მისი დაარსების დღიდანვე დაიწყო. გზებიც ყველა დროში, მეტ–ნაკლებად, ერთნაირი იყო: ქრისტიანთა ფიზიკური განადგურება და ქრისტეს სწავლების, ანუ ეკლესიის მოძღვრების დამახინჯება, ანუ ქრისტიანთა სულიერი განადგურება.

პირველ საუკუნეებში ქრისტიანებსა და ეკლესიას, უპირატესად, ფიზიკურად ებრძოდნენ, – დაიღვარა ზღვა სისხლი, ეკლესიის წმინდანთა ხომლს, წამებულთა სახით, უამრავი ვარსკვლავი შეემატა. წმინდანთა ქრისტესთვის დაღვრილ სისხლს ერთი საოცარი თვისება და ძალა აქვს: იგი განწმენდს ეკლესიას, განაძლიერებს მორწმუნეებსა და რწმენაში განამტკიცებს მათ. მოწამებრივი სისხლით განწმენდილი ეკლესია კი კიდევ უფრო იკვრება და მტკიცდება, კიდევ უფრო მებრძლი და ბრძლისუნარიანი ხდება.

მაცხოვარმა მომავალი ბრძოლებისათვის, ეკლესიისა და სარწმუნოების დაცვისათვის ბრძოლებში გასამარჯვებლად ქრისტიანებს ხელში უძლეველი იარაღი მისცა სწავლების სახით: **„ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“** (მთ. 16, 18). ამიტომაც არის, რომ როდესაც დევნა განსაკუთრებით სასტიკი ხდებოდა, როდესაც მორწმუნე ერი უკიდურესად შეჭირვებული და სასოწარკვეთილია, როდესაც შიშისაგან განლეული და უიმედობისაგან დათრგუნული ქვეყანა ირყევა **„ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა** (ი. საბანისძე, „აბო თბილელის წამება), სწორედ მაშინ მოუვლენდა ღმერთი ქვეყანასა და ხალხს ქრისტეს ერთგულ წმინდანს, გოლგოთის მტვირთველ ზვარაკს, რომელიც თვისი თავგანწირვითა და მოწამებრივად დათხეული სისხლით ახალ ძალებს შთაბერავდა მორწმუნე ერს, განამტკიცებდა და აღადგენდა მათ და იხსნიდა ეკლესიას

დაცემისაგან, შედეგად კი იხსნიდა მთელ ერსა და ქვეყანას განადგურებისა და აღგვისაგან პირისაგან მიწისა. მიუხედავად ძველ დროში ფიზიკური დევნის სისასტიკისა, იმ დროებას ერთი დღეს სანატრელი ნიშან–თვისება ახლდა: მაშინ ცხადი და მკაფიო იყო, თუ ვინ იყო მტერი და ვინ – მოყვარე.

მართალია ფიზიკურ დევნასა და განადგურებაზე არც დღევანდელ დემონიზებულ ეპოქას აუღია ხელი, მაგრამ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები უფრო დახვეწა, უფრო მზაკვრული გახადა. თანდათან უპირატესობა არა ქრისტიანთა ფიზიკურ განადგურებას, ანუ წმინდანთა დასის გამრავლებასა და ეკლესიის განმტკიცებას მიენიჭა, არამედ თავად ეკლესიის წევრთა, სასულიერო და საერო პირთა ცნობიერების შეცვლას, მათი რელიგიური მრწამსის შერყვნას, სწავლების დამახინჯებას მოდერნისტული სწავლებებით, მოსყიდვას, გადაბირებას, ანუ ქრისტიანთა სულიერ წარწყმედასა და დაღუპვას მიენიჭა.

ამ მიმართულებით ყველაზე მზაკვრული და დამანგრეველი ეკლესიის შიდა ბრძოლაა, როდესაც ეკლესიის წევრები, განსაკუთრებით კი მაღალი წოდების იერარქები და სამღვდელონი ეკლესიის ორ საყრდენ ბოძს არყევენ: მოძღვრების ბოძს და ზნეობრიობის ბოძს. პირველი გულისხმობს ეკლესიის სწავლების სიწმინდის შერყვნას, მეორე კი – ეკლესიაში უზნეობის გამრავლებას, განსაკუთრებით საულიერო პირებს შორის. ამ ბრძოლის შედეგად მრავლდებიან ღმრთისაგან და ეკლესიისგან განდგომილი სასულიერო თუ საერო პირები, თანაც ისე, რომ ზოგიერთი მათგანი ეკლესიის ნომინალურ წევრად რჩება, მაღალ იერარქებადაც კი.

ჩვენი ძირითადი სასაუბრო თემის წინ ეს ვრცელი შესავალი იმისთვის დაგვჭირდა, რომ მკითხველმა მთელი სიგრძე–სიგანით გააცნობიეროს, თუ რა საშიშ და დამღუპველ

პროცესებთან გვაქვს საქმე და როგორი ძნელბედობის ჟამი უდგას როგორც ჩვენს ეკლესიას, ისე მთელ ქვეყანას. ჩვენი სასაუბრო თემა კი უშუალოდ უკავშირდება ზემოთ თქმულს, კერძოდ ეკლესიის შიგნით არსებულ აშკარა ღალატსა და განდგომილებას, ეკლესიის შიგნიდან გატეხვისა და განადგურების მცდელობას.

სულმნათი ილია მართალი თავის „კაცია ადამიანში აღნიშნავს, რომ ლუარსაბ თათქარიძის კარმიდამოს შემომზღუდავი ღობე **„გადაქცეული იყო და ეხლანდელს პატრონს არც კი მოსვლია ფიქრად, რომ გაეკეთებინა. ეტყობა, რომ ქართველია!“** გადაქცეული ღობე და მორღვეული ზღუდე რომ დაუცველობის ნიშანია და დაცემა–განადგურების მომასწავებელია, ეს აშკარაა. აკი ხსენებული ნაწარმოებიც ქართველი კაცის დაცემა–განადგურებასა და უმომავლოდ წარქცევას მიეძღვნა უმთავრესად. სწორედ ამის გამოსწორება, ქვეყნის აღორძინება სურდა ერის მამას, ილია ჭავჭავაძეს. ამიტომაც აამოქმედეს გასული საუკუნის დასწაყისში მტრებმა მკვლელი ბერბიჭაშვილი და ძმანი მისნი, რომ მოეკლათ ერის მამა და მით დაეღუპათ წილხვედრი ქვეყანა. ამ საზარელმა მკვლელობამ შეძრა ერი, ამ და სხვა დაცემათა გამო იტყვის აკაკი წერეთელი უმწარეს სიტყვებს: **„ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველოვ“**. „ბერბიჭაშვილი“, ისვე როგორც „შადიმან ბარათაშვილი, გაცემის და ღალატის სიმბოლოდ იქცა სასაუბრო ლექსიკაში. ჩვენ, რა თქმა უნდა, კნინს არ ვაყენებთ გვარს, მსგავსად იმისა, რომ სახელი „იუდა“ გაცემისა და ღალატის სინონიმად იქცა, თუმცა მაცხოვარს ჰყავდა სხვა მოციქული იუდა, რომელსაც პატივს მიაგებს ეკლესია.

საქართველოს ისტორია, განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, სავსეა მაგალითებით გადაქცეული ზღუდეებისა და კარიბჭემოღვეულობისა. მაგრამ ქვეყანასა და მის დუღაბს, – ეკლესიას ერთი საო-

ცარი ნიშან–თვისება ჰქონდა: ქვეყანა საზღვარმორღვეუ-ლი და დაუცველი იყო, მაგრამ ეკლესიის მოძღვრებითი, სწავლებითი ზღუდე – მტკიცე და შეურღვეველი. ჩვენი ეკლესია, ალბათ, ერთადერთია ადგილობრივ ეკლესიებს შორის, რომელიც არ შეუბღალავს ეკლესიის სიწმინდის შემრყვნელ რაიმე სწავლებას, მწვალებლობას, განმაახ-ლებლობასა თუ მოდერნიზმს. მისი სწავლებითი სიმტ-კიცე და შეურყევლობა იყო და არის ის სათნოება ღმრთის წინაშე, რის გამოც ჩვენ დღემდე მოვედით, რის გამოც, მიუხედავად ქვეყნის მორღვეულობისა და სისუსტისა, ღმერთმა დღემდე დაგვიცვა, მოგვიყვანა სარწმუნოებითა და თვითმყოფადობით.

ეკლესიის მტრები და ქვეყნის დამონება–დამორჩილების მსურველები, ბუნებრივია, ხვდებიან ამ ერთადერთ ძალ-მოსილებას, რომელიც 21–ე საუკუნის დასაწყისშიც ბალავრობს. და დღეს, ისე როგორც არასდროს, უდიდე-სი ძალისხმევაა მიმართული ჩვენს ეკლესიაში სწავლების შერყვნის მიმართულებით, განსაკუთრებით ეკუმენიზმის, განმაახლებლობისა და მოდერნიზმის დასანერგად.

აბა, საქართველო კი რისი საქართველოა, თუ ყოველ საუკუნეს თავისი შიდა გამცემი არ ეყოლა. ასეთნი კი, სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ ჩვენი ეკლესიის სასულიერო დასში, – ვინ ვერცხლით ცდუნებული, ვინ კომპრომატ–აღვირ–ამოდებული, ვინ ასეთიცა და ისეთიც[1]. ზოგიერთ მათგანს სწავლების სიწმინდის დაცვის კარიბჭის გასაღე-ბიც ჩააბარეს, – საუბარია საპატრიარქოს გამომცემლობი-სა და რეცენზირების დეპარტამენტზე, ერთგვარ საეკლე-სიო ცენზურაზე, რომელმაც უნდა დაიცვას ეკლესია, საეკლესიო მაღაზიები მწვალებლური და არაკანონიკური ლიტრატურისა და წიგნებისაგან. მან კი, არამც თუ ამა-

1. ჩვენ ჯერჯერობით თავს ვიკავებთ ამ პირების დასახელებისა და ჩვენთვის ცნობილი მათი მაკომპრომიტირებელი ფაქტების ჩამოთვლისაგან.

რთლმკვეთელა ეს ზღუდე, არამედ პირიქით, მოარღვია იგი და ამ მორღვეული ზღუდით ჩვენს ეკლესიაში დენა იწყო სულის წარმწყმედმა სწავლებებმა სხვადასხვა წიგნების სახით, ადგილობრივითა თუ უცხოურით, გაივსო საეკლესიო მაღაზიები სულის დამღუპველი, მომაკვდინებელი ლიტერატურით, რომელთაც სასულიერო–აკადემიაში მომრავლებული ეკუმენისტ–მოდერნისტი „პედაგოგები“ სახელმძღვანელო წიგნებად ურჩევენ და უსახელებენ სტუდენტებს, მომავალ მღვდლებს, მომავალ თაობას. ამუშავდა მთარგმნელობითი მანქანა, ითარგმნება მწვალებლური ლიტერატურა საქვეყნოდ ცნობილი მოდერნისტებისა და განმაახლებლებისა, ეკუმენისტებისა თუ სექტანტებისა. განსაკუთებით ჭარბობს რუსი მოდერნისტების, მათ შორის იერარქ–ერესოლოგების წიგნები.

ჩვენვე დავსვავთ კითხვას: იქნებ ვაზვიადებთ რამეს, იქნებ რამე გვეჩვენება, იქნებ ცილსა ვწამებთ ვინმეს? აი, თავად განსაჯეთ, – ჩვენ თქვენს სამსჯავროზე გამოგვაქვს ზოგიერთი მასალა, მცირედი მრავალთაგან, მწვალებლური, ეკუმენისტური და მოდერნისტული წიგნები, ნათარგმნი ლიტერატურა, რომელიც ხსენებულმა საეკლესიო „ცენზურამ“ გაატარა და თავისი ბეჭდით დაბეჭდილი გაუშვა საეკლესიო მაღაზიების ქსელში. ამ წიგნების მწვალებლური, მოდრნისტულ–განმაახლებლური ხასიათის წარმოსაჩენათ ჩვენ მათ განვიხილავთ არა ჩვენი საკუთარი მოსაზრებების მომარჯვებით, არამედ ეკლესიის სწავლების ფონზე, როგორიცაა სახარება, 7 მსოფლიო კრება, წმინდა მამების კანონიკური სწავლებები, დიდი სჯულის კანონი, ეკლესიის წმინდა გადმოცემა,

ჩვენი გარჯის მიზანიც ის არის, რაც სულმნათ ილიას სიტყვებშია განცხადებული, ის, რაც მან „კაცია ადამიანს“ წარუმძღვარა თავში: **„ვინც ლუარსაბის სახეში თავის-თავს იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავის-თავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დამიწყებს**

და „გიჟიას“ დაუძახებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერსა. . . სხვამ რაც უნდა სთქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გავამხნევებ ჩემს თავსა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. სადა ხარ ეხლა ამ გონიერის სიტყვის მთქმელო?“

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი სიტყვის გამგონე გამოჩნდება ჩვენს ქვეყანასა თუ ეკლესიაში. განსაკუთრებითა და საგანგებოდ მივმართავთ ჩვენს იერარქებს: დაგვლოცეთ მეუფეებო. თქვენ, ალბათ, მოგისმენიათ (შესაძლოა თავადაც წარმოგითქვამთ) 50–ე ფსალმუნის კითხვისას ზოგიერთი მღვდელი თუ ეპისკოპოსი როგორ ამატებს ფსალმუნის სიტყვებს სიტყვას „ივერიისანის“ და ასე წარმოთქვამს მას: **„კეთილი უყავ, უფალო, ნებითა შენითა სიონსა და აღეშენენ ზღუდენი იერუსალიმისანი და ივერიისანი“.** საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად დასაშვებია ფსალმუნებში დამატებები და ჩანართები, ცალკე თემაა. ერთ რამეში დარწმუნებულები ვართ, რომ ეს სასულიერო პირნი ხსენებულ ჩანართს სამშობლოს, ივერიის სიყვარულის გამო აკეთებენ. სწორედ ამიტომ მივმართავთ მათ და თქვენ: მეუფენო, ეკლესიის დაცვისთვის მოწოდებულნო, ზღუდენი ივერიისანი მორღვეულია, მორღვეულია კარიბჭე, რეცენზირების დეპარტამენტის სახით, რომლიდანაც მწვალებლური უწმინდურება იღვრება ჩვენს ეკლესიაში. მოგმართავთ თხოვნით, რათა იზრუნოთ ამ ზღუდის წამომართვაზე, რათა რელიგიურმა სიბილწემ არ წალეკოს ჩვენი ეკლესია და ჩვენი ქვეყანა, რათა წმ. ილია მართლის ზემოთ მოყვანილი სიტყვები „ეტყობა რომ ქართველია“ საბედისწეროდ არ იქცეს ჩვენში ერისა და ეკლესიისათვის.

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

1. მიაგეთ ღმერთს ღმრთისა და ალფეევს - ალფეევისა

2. ალექსი ოსიპოვი - ალფეევის კლონი და ეშმაკის კლოუნი

თბილისი 2016წ

მიაგეთ ღმერთს ღმრთისა და ალფეევს - ალფეევისა

ვოლოკოლამის მიტროპოლიტის, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო ურთიერთობების განყოფილების თავმჯდომარის, მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევის წიგნის „სარწმუნოების საიდუმლოება“ ქართულ გამოცემასთან დაკავშირებით

1. მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევის „ეკლესიოლოგია“

სანამ ხსენებული წიგნის ქართულ გამოცემასთან დაკავშირებით დავიწყებთ საუბარს, მანამდე გვინდა საზოგადოდ შევეხოთ მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევის „ეკლესიოლოგიას“.

მიტროპოლიტი ილარიონ ალფეევი ქადაგებს მწვალებლობებს, რომლებიც დაგმობილია წმ. კრებების მიერ. რუსეთის ადგილობრივი ეკლესიის უმაღლესი ეშელონები, კერძოდ ე.წ. ნიკოდიმელების ჯგუფი რომ ეკუმენისტური მწვალებლობის კერაა, ეს საყოველთაოდაა ცნობილი. ჯგუფის სახელდება უკავშირდება ცნობილ ეკუმენისტს, ნიკოდიმოს როტოვს, ეკუმენიზმის

ფუძემდებელს რუსეთის ეკლესიაში, რომელიც „ფეხებს უკიცნიდა“ რომის პაპს და აკი ფეხებში ჩააკვდა კიდეც პაპს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით). ამ ეკუმენისტ როტოვის სულიერი მემკვიდრეები არიან ხსენებული დაჯგუფების წევრები. ამ კერაში აღიზარდა ახალგაზრდა ეკუმენისტების მთელი პლეადა, რომელთა შორის ამჟამად ყველაზე „წარმატებულია“ მეუფე ილარიონი (ალფეევი). ეკუმენისტური ცნობიერება მას ჩამოუყალიბდა პაპისტებთან ურთიერთობაში კაუნასში (ლიტვა) მსახურებისას, ხოლო ერეტიკული „მეცნიერული მეთოდი“, - დამოუკიდებელი მოსაზრების შემუშავების მეთოდი, - მან შეისწავლა და გაითავისა ოქსფორდის უნივერსიტეტში სტაჟიერების წლებში, რაშიც მას დაეხმარა ცნობილი ეკუმენისტ-ერეტიკოსი, მიტროპოლიტი კალისტა (უერა).

მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევის ერეტიკული მოსაზრებებიდან გამოვყოფთ რამდენიმეს:

- ორიგენის მწვალებლობა საყოველთაო აღმოყვანების, საყოველთაო გადარჩენის შესახებ, რომელიც დაგმობილია წმ. მამების მიერ V-VI მსოფლიო კრებებზე. ამასთან ალფეევი ცდილობს, ეს მწვალებლობა ღირს ისააკ ასურის „ბაგეებს მიაწებოს“, თითქოს მას ეთქვას ეს, რის შესახებაც, თითქოს, ცნობილი გახდა რაღაც ახლად აღმოჩენილი ტექსტებიდან. ეს არის სრული სიცრუე და წმ. მამის შეურაცხყოფა. მსგავსი რამ ღირს ისააკ ასურს არ უთქვამს, ხოლო ვინ არის ფსევდოისააკ ასური, ეს ყალბისმქნელმა ერეტიკოსებმა თავად იციან. მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევის არაკეთილსინდისიერი, სოფისტური მსჯელობის სამხილებლად აღვნიშნავთ, რომ V მსოფლიო კრებაზე დაიგმო სწორედ სატანჯველის დასასრულის შესახებ მწვალებლური სწავლება, და არა მის შესახებ ორიგენისა თუ ფსევდოისააკის არასწორი წიაღსვლები და გასვლა-გამოსვლები.

- ორიგენის სწავლებასვე უკავშირდება მიტროპოლიტ

ილარიონ ალფეევის მწვალებლური სწავლება ჯოჯოხეთში ქადაგებისა და ნათლობის, ასევე ჯოჯოხეთში არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის შესახებ.

- არანაკლებ სულისწარმწყმედია მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევის (ისევე, როგორც, საზოგადოდ, ნიკოდემელთა დაჯგუფების) ცდომილება ერეტიკოსებთან მადლის, კერძოდ საუდუმლოთა მადლის არსებობის შესახებ, რაც ეწინააღმდეგება საეკლესიო კანონებსა და წმიდა მამათა სწავლებას მწვალებლებთან საიდუმლოთა მადლისა და იერარქიული მემკვიდრეობის არარსებობის შესახებ. მიტროპოლიტ ილარიონის „პოლიტკორექტულობა“ აშკარად უნიატური ხასიათისაა, რადგან ის აცხადებს, რომ რომო-კათოლიკებთან უნდა გვქონდეს „სტრატეგიული ალიანსი“. ამ საკითხში იგი არის მიტროპოლიტ ანტონი სუროჟელის, - რაბინის შვილიშვილის, ილარიონ ალფეევის მშობლების მსგავსად მონათლული ებრაელის სულიერი მემკვიდრე, რომელიც ასწავლიდა, რომ სულის ცხონებისათვის თანაბრადმაცხოვნებელია მართლმადიდებლობაცა და კათოლიციზმიც, და იგი პატივს მიაგებდა რომო-კათოლიკების „წმინდანებს“.

მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევის მასწავლებლად გვევლინება ასევე იუდაიზმიდან მოვლენილი სქიმარქიმანდრიტი სოფრონი (სახაროვი), რომელიც ცნობილია თავისი „ობნოვლენჩესკი“ სულისკვეთებითა და საქმეებით.

2013 წელს მიტროპოლიტმა ილარიონ ალფეევმა მეცნიერებათა აკადემიაში მეცნიერების წინაშე გააკეთა მოხსენება, სადაც მან განაცხადა: „ჩვენ გადავწყვიტეთ კათოლიკები აღარ მოვიხსენიოთ მწვალებლებადო“. საკითხავია, ვინ „ჩვენ“, რა უფლებით, რომელი კანონებითა და რომელ სწავლებაზე დაყრდნობით? ცხადია, - არამართლმადიდებლურ ეკლესიოლოგიაზე დაყრდნობით.

ყველა ამ გადაცდომებთან ერთად მიტროპოლიტი ილარიონ ალფეევი შეპყრობილია განმაახლებლობის სუ-

ლით, რითაც იგი გვევლინება ბოლშევიკების მეკავშირე „ნოვოცერკოვნიკების“ მემკვიდრედ. ცნობილია მისი ინიციატივები საეკლესიო ენის თანამედროვე ენით შეცვლასან და სხვა სიახლეების შემოტანასთან დაკავშირებით.

დასასრულს, მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევისა და მსგავსი „სასულიერო“ პირების მისამართით მოვიყვანთ ნეტარ ავგუსტინეს სიტყვებს: „ყველა მწვალებელი კითხულობს კათოლიკე წერილებს და მწვალებლები არიან მხოლოდ იმიტომ, რომ, არასწორად ესმით რა წმინდა წერილი, მათი ჭეშმარიტების საწინააღმდეგოდ ამტკიცებენ თავიანთ ცრუ მოსაზრებებს“. ეს სიტყვები ზედმიწევნით ესადაგება მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევსა და მის კემბრიჯში შესწავლილ „დამოუკიდებელი მოსაზრებების შემუშავების“ „მეცნიერულ მეთოდს“.

2. მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევის წიგნის „სარწმუნოების საიდუმლოებასა“ და მის ქართულ გამოცემასთან დაკავშირებით

მიტროპოლიტი ილარიონ ალფეევი თავის მწვალებლობაში, უნიატიზმსა და განმაახლებლობაში მრავალგზის არის მხილებული რუსეთის ეკლესიის სივრცეში. რუსეთის ეკლესიისთვის ეს საკმაოდ ცნობილი თემაა, თუმცა საქართველოსთვის - არც თუ ისე. ჩვენი მოწადინება ამ საკითხის სამსჯავროზე გამოტანასთან დაკავშირებით განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საქართველოში „იღვაწეს“, თარგმნეს და გამოსცეს მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევის წიგნი „სარწმუნოების საიდუმლოება“, რომელიც შეიცავს არა ერთ მწვალებლურ სწავლებას. სამწუხაროდ საქართველოს ეკლესიის წიაღშიც არიან ეკუმენისტური ცნობიერების, უნიატური მისწრაფებებისა და განმაახლებლური

სულისკვეთებით შეპყრობილი „სასულიერო“ პირები. ზოგიერთი მათგანი სასულიერო სემინარიის პედაგოგადაც გვევლინება, - მათ თავიანთ სტუდენტებს ურჩიეს, შეიძინათ მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევის ხსენებული წიგნი, რათა იხელმძღვანელონ ამ წიგნით, რაც, ჩვენი აზრით, დიდ საცდურს უქმნის გაუთვითცნობიერებელ ახალგაზრდა სტუდენტებს.

მოვიყვანოთ ამონარიდები წიგნიდან „სარწმუნოების საიდუმლოება“, რომლებიც შეიცავენ მწვალებურ სწავლებებს. ეს გადაცდომები კარგად არის ცნობილი ეკლესიის სივრცეში და მათი მწვალებლობა მრავალგზის არის მხილებული ეკლესიის სწავლების მიხედვით.

1. (ციტატის დასაწყისი): ***„...ვინც შეიძლება ვერ შეხვდნენ ქრისტეს მიწიერ ცხოვრებაში („როდის გიხილეთ შენ?“), მაგრამ გულმოწყალენი იყვნენ მოყვასთა მიმართ, გამართლებას მიიღებენ და ცხონდებიან. საშინელი სამსჯავროს შესახებ იგავში, მეფე არ ეკითხება ადამიანებს, დადიოდნენ თუ არა ისინი ეკლესიაში, იცავდენენ თუ არა მარხვებს, ლოცულობდნენ თუ არა დიდხანს, არამედ ეკითხება, როგორ ექცეოდნენ ახლობლებს... მოწყალების საქმენი ადამიანის მიერ სიცოცხლეში აღსრულებული ან არაღსრულებული, სამსჯავროზე მთავარი კრიტერიუმი იქნება“*** (ციტატის დასასრული). (გვ.390).

ცხონებისათვის რომ მხოლოდ გულმოწყალება არ არის საკმარისი, ამის შესახებ წმინდა წერილი გვამცნობს. ცხონებისათვის აუცილებელია მართალი სარწმუნოება და საქმეები ერთად. პავლე მოციქული გალატელებს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: ***„არა განმართლდების კაცი საქმეთაგან სჯულისათა, გარნა სარწმუნოებითა იესუ ქრისტესითა.“ „მართალი სარწმუნოებითა სცხონდეს.“*** (გალ. 2.16; 3.11). მოციქული იაკობი თავის ეპისტოლეში გვმოძღვრავს: ***„სარწმუნოებაჲ, უკუეთუ არა აქუნდენ***

საქმენი, მკუდარ არს იგი ხოლო“ (იაკობ. 2.14); საშინელი სამსჯავროს შესახებ იგავი გვაუწყებს, რომ გულმოწყალება ადამიანის ცხონებისათვის აუცილებელი პირობაა, მაგრამ ეკლესიის სწავლება მხოლოდ ამ იგავით არ განისაზღვრება. წმინდა მამები ერთხმად ქადაგებენ, რომ ცხონებისათვის აუცილებელია კეთილი საქმეებით აღვსილი ჭეშმარიტი სარწმუნოება. წმინდა იოანე ოქროპირი წერს: *„ნუმცა უკუე ვგონებთ ჩუენ, საყვარელნო, თუ კმა გვეყოს სარწმუნოებაჲ ოდენ ცხოვრებად ჩვენდა, უკუეთუ არა ვქმნეთ საქმენი კეთილნი“*, ხოლო სხაგან ამბობს: *„უკუეთუ ვინ უნათლავი წარვიდეს, დაღაცათუ ყოველივე სარწმუნოებაჲ მას აქუნდეს, არასადა მივალს სხუად გარნა გეჰენიასა ცეცხლისასა და მატლსა წამლეანსა და ბნელსა მას გარესკნელსა“.*

მიტროპოლიტი ილარიონ ალფეევი დასახელებულ წიგნში წერს:

2. (ციტატის დასაწყისი): *„ ...სხვა, კიდევ უფრო შემაძრწუნებელი მოთხრობა გვხვედება წმინდა გრიგოლ დიოლოღოსის ზოგიერთ ადრეულ ცხოვრებებში, კერძოდ, იმის შესახებ, თუ როგორ „მოინათლა“ იმპერატორ ტრაიანეს სული ჯოჯოხეთში წმინდა გრიგოლის ცრემლებით. ...მდევნელის სულისთვის იქამდე ილოცა ცრემლებით, ვიდრე არ გამოეცხადა, რომ მისი ლოცვა შესმენილ იქნა. „დაე ნურავის გაუკვირდება, როდესაც ვამბობთ, რომ ტრაიანე მოინათლა, რადგან ნათლობის გარეშე ვერავინ იხილავს ღმერთს, ხოლო ნათლობის მესამე სახე-ეს არის ცრემლებით ნათლობა“* (ციტატის დასასრული). (გვ. 382).

ამგვარად, მიტროპოლიტი ილარიონ ალფეევი ისეთი ადამიანის ცხონებას უშვებს (საუბარია იმპერატორ ტრაიანეზე), რომლის დროსაც ქრისტიანთა დევნის მესამე პერიოდი დაიწყო, რომელმაც წმ. კლიმენტი რომაელი წყალში დაახრჩობინა, ხოლო წმ. ეგნატე ღმერთშემოსილი მშიერ ლომებს მიუგდო დასაგლეჯად არენაზე. სახ-

არებაში ასეთ ადამიანებზე ვკითხულობთ: ***„რომელმან თქვენ შეურაცხგყვნეს მე შეურაცხ-მყოფს; და რომელმან მე შეურაცხმყოს, შეურაცხ-ჰყოფს მომავლინებელსა ჩემსა“*** (ლუკ. 10.36); ***„რომელი ურჩ იყოს ძისა, არა იხილოს ცხოვრებაჲ, არამედ რისხვაჲ ღმრთისაჲ დადგრომილ არს მის ზედა“*** (იოან. 3.36). იმპერატორ ტრაიანეს სულის ჯოჯოხეთიდან გამოხსნის ფაქტის დასტურად ავტორს სერაფიმ როუზის სიტყვა მოჰყავს, მაგრამ სერაფიმ როუზი რომ ასეთი ადამიანების ცხონებას არ უშვებს, ეს მისი სიტყვებიდანაც ჩანს: ***„ეკლესიის ლოცვას არ შეუძლია იმათი ცხონება, ვისაც ცხონება არ სურს ან ვინც ამისათვის სიცოცხლეში არ გაისარჯა“.***

შემდეგ მიტროპოლიტი ილარიონ ალფეევი წერს:

3. (ციტატის დასაწყისი): ***„ღმერთს ყოველთა კაცთა ჰნებავს ცხოვრებაჲ“*** (1ტიმ.2,4), ***„ყოველთა სინანულად მოსვლაჲ“***(1პეტრ.3,9) ***და მისთვის არაფერია შეუძლებელი: ეკლესიის ლოცვითა და თავისი მოწყალებით, მას შეუძლია, ჯოჯოხეთიდან ამოიყვანოს ის ადამიანებიც კი, რომლებიც მიწიერ ცხოვრებაში უარყოფდნენ მას და ეწინააღმდეგებოდნენ“*** (ციტატის დასასრული). (გვ. 4001-402).

მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევის ეს მსჯელობა სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ღმერთი ადამიანს თვისუფალი ნების გარეშე აცხოვნებს. ასეთ მწვალებლობას ლუთერო-კალვინისტების ერესი ასწავლის. რაც ეწინააღმდეგება ეკლესიის სწავლებას. სული წმიდის მგმობელთა შესახებ სახარებაში ვკითხულობთ: ***„. . . ხოლო რომელმან თქუას სულისა წმინდისათვის, არა მიეტეოს მას არცა ამას სოფელსა, არცა მერმესა მას“*** (მათ. 12.32). ღმერთი ყველას უხმობს, მაგრამ ადამიანმა აუცილებლად უნდა ისმინოს მისი, ცხონებისათვის აუცილებელია ადამიანის და ღმერთის ნების თანხვედარა. ***„მადლი, თუმცა ის მადლია, მხოლოდ მსურველებს აცხოვნებს“,*** - ამბობს ღვთაებრივი ოქროპირი. გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვით კი: ***„ცხონება ჩვე-***

ნი და ღვთის საქმე უნდა იყოს, დედამიწას აწვიმს, მაგრამ მიწა ნაყოფს არ მოიწევს, თუ მასზე მიწათმოქმედმა არ იმუშავა“. რაც შეეხება ჯოჯოხეთში მყოფთათვის ლოცვას, წმინდა წერილი გვასწავლის: *„და ესე არს განცხადებულებაჲ, რომელი მაქუს მისა მიმართ, რამეთუ უკუეთუ რაჲმე ვითხოვოთ ნებისაებრ მისისა, ისმენს ჩვენსა. რაიცა-იგი ვითხოოთ და უწყით, რამეთუ მოვიღოთ თხოვაჲ იგი, რომელი ვითხოვეთ მისგან. უკუეთუ ვინმე იხილოს ძმაჲ თვისი, რომელი ცოდვიდეს ცოდვასა არა სასიკუდინესა, ითხოოს და მოსცეს მას ცხორებაჲ, რომელნი-იგი ცოდვიდენ არა სასიკუდინედ. არს ცოდვაჲ სასიკუდინე: არა მისთვის ვიტყვი, რაჲთა ითხოოს“* (1იოან.5.14-16).

ამგვარად, სასიკვდინე ცოდვით გასულთა სულის ცხონებისათვის ეკლესია არ ლოცულობს, არამედ ვლოცულობთ ხვედრის შემსუბუქებისათვის. წმინდა მარკოზ ეფესელი გვასწავლის: *„მიტევება ადამიანს ენიჭება სამ განსხვავებულ დროს: ნათლობის დროს; ნათლობის შემდგომ, უფალთან ურთიერთობის დროს; სიკვდილის შემდეგ, ლოცვების და ეკლესიის მიერ სულებისთვის აღვლენილი კეთილი საქმეების შედეგად. ნათლობის შემთხვევაში წარიხოცება ყველა ცოდვა, ხოლო სიკვდილის შემდეგ ეკლესიის მიერ აღვლენილი კეთილი საქმეების შემთხვევაში ის ცოდვები, რომლებიც არაა სასიკვდილო და სიცოცხლეში თითქმის ყველას შეხებია“.*

შემდეგ მიტროპოლიტი ილარიონ ალფეევი დასახელებულ წიგნში წერს:

4. (ციტატის დასაწყისი): *„ქრისტეს მოსვლის შემდეგ გარდაცვლილებსაც, მათ შორის, იმათაც, რომელთაც სახარება არ მოუსმენიათ, არ შეიძლება მოეთხოვოთ რწმენა, ან ბრალი დაედოს ურწმუნოებაში. ამიტომაც ქადაგებს ქრისტე ჯოჯოხეთში, რათა მის მიერ შექმნილ ყოველ ადამიანს შეეძლოს არჩევანის გაკეთება-ან სიკეთის, ან ბოროტების სასარგებლოდ, და თავისი არჩევანის სა-*

სარგებლოდ-ან ცხონდეს, ან დაისაჯოს“ (ციტატის დასასრული). (გვ. 394).

დავითის ფსალმუნში ვკითხულოთ: *„არა არს ვინ სიკვდილსა შინა მოგიხსენოს შენ, ანუ ჯოჯოხეთს შინა ვინ აღგიაროს შენ“* (ფს. 6.6). ამასვე გვასწავლიან წმინდა მამები, მათ შორის წმ. გროგოლ ღვთისმეტყველი: *„ჯოჯოხეთში სინანული არ არის. იქ შთავარდნილთათვის აღსარება და გამოსწორება შეუძლებელია“.*

შემდეგ მიტროპოლიტი ილარიონ ალფეევი წერს:

5. (ციტატის დასაწყისი): *„ლიტურგიკულ ტექსტებში, კერძოდ, დიდი შაბათის კანონში, ვხვდებით მითითებას იმის შესახებ, რომ ჯოჯოხეთის ხელმწიფება მასში მყოფთა მიმართ არ არის სამუდამო: „ჰმეუფებდა, ჯოჯოხეთი პირველ, ნათესავსა ზედა ჩუენსა, არამედ არა დაადგრა, რამეთუ რაჟამს იგი დაეფალ ნებსით ქრისტე, და სიკუდილისა მოქლონნი შეჰმუსრენ, და საუკუნითგანთა, მომკუდართა ახარე, რაჟამს იქმენ პირმშო მკუდართა მხსნელო“. ეს სიტყვები თანხმობაშია წმინდა გრიგოლ ნოსელის სწავლებასთან იმის შესახებ, რომ მსოფლიო ისტორიის დასასრულს ჯოჯოხეთსა და სიკვდილს ქრისტე საბოლოოდ გააუქმებს და აღარფერი დარჩება კეთილის მიღმა“(გვ. 398-399); „ამრიგად პირველ რიგში ეკლესიის ლოცვა შეპყრობოლთათვის ჯოჯოხეთს შინა, მეორე მხრივ, იმედი იმისა, რომ დასრულდება ჯოჯოხეთური ტანჯვა და მესამე, აღმდგარი ქრისტეს მიერ ყოველთა ჯოჯოხეთისაგან გამოხსნა...“* (ციტატის დასასრული). (გვ.403.).

მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევის ეს მსჯელობა სხვა არაფერია, თუ არა ორიგენიზმი. ამ მწვალებლობის საწინააღმდეგოდ სახარებაში ვკითხულობთ: *„წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთა“* (მათ. 25.41). წმინდა მამათა განმარტებით „საუკუნესა“ უნდა გავიგოთ როგორც სამუდამოდ, დაუსრულებლად და

არა ისე როგორც ეს ორიგენეს ესმოდა და მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევს სურს. წმ. მარკოზ ეფესელმა ეს სწავლება ფერარა-ფლორენციის კრებაზე შემდეგი სიტყვებით დაადასტურა: ***„საუკუნო ტანჯვის დასრულების და აღდგომის სწავლება მომდინარეობს ორიგენესგან, რომელიც გადაეცა ანათემას მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. ეს სწავლება შთააგონებს ადამიანებს სულის სისუსტეს, რადგან ამ სწავლებით ყოველგვარი შრომის გარეშე დროებით ცეცხლში ისედაც განიწმინდები“.***

სხვა ცდომილებების მოტანაც შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ მიტროპოლიტი ილარიონ ალფეევი მწვალებლობას ქადაგებს და მართლმადიდებელთათვის მისი ზემოთ დასახელებული წიგნით ხელმძღვანელობა დაუშვებელია.

3. მიაგეთ ღმერთს ღმრთისა და ალფეევს - ალფეევისა

ჩვენ ყველანაირად ვეცადეთ ეკლესიის შიგნით მოგვეგვარებინა პრობლემა იმასთან დაკავშირებით, რომ მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევის ქართულად თარგმნილი მწვალებლური წიგნი საეკლესიო მაღაზიების ქსელში არ გავრცელებულიყო და არ გაყიდულიყო, ყოველ შემთხვევაში - ზემოთ მოყვანილი მწვალებლობებითურთ. ბოლო ინსტანცია კი, რომელსაც მივმართეთ, იყო საპატრიარქოს „გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტი“ (თავმჯდომარე ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი). სწორედ ამ დეპარტამენტმა გასცა ნებართვა ხსენებული წიგნის საეკლესიო მაღაზიების ქსელში დაშვების შესახებ. მაგრამ, მიუხედავად თითქმის ერთწლიანი მცდელობისა, ამაოდ დავშვერით, ვერაფერს გავხდით. ალფეევის სახელი და მისი წიგნი ხელშეუხებელობის „იმუნიტეტით“ სარგებლობენ საქართველოში. ნეტა რაშია საქმე?

ჩვენდა გასაკვირად გამოიკვეთა ერთი მეტად უცნაური და ეკლესიის სივრცისათვის ფრიად მიუღებელი ტენდენცია „სტუმართ-მოყვრული“ და კიდევ უფრო სავალალო - „ალფეევისაგან დავალებულები ვართ“ - მოტივაცია. ნუთუ ამ „დავალებულობის“ გამო ხდება მწვალებლური წიგნის გავრცელების ხელშეწყობა და მისი აკრძალვის მოთხოვნის უგულებელყოფა?

ჩვენ იძულებულები შევიქმენით, რათა წინამდებარე წერილი გაგვევრცელებინა, რათა გავაფრთხილოთ პოტენციური მკითხველი იმ საფრთხეების შესახებ, რომელსაც ხსენებული წიგნი შეიცავს, ვინძლო თუნდაც ერთი სულისთვის მაინც მოვახერხოთ წარმწყმედელი საფრთხის არიდება.

ყველა მათ კი, ვინც „დავალებულები“ არიან მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევისაგან, გვინდა მივმართოდ: თქვენ ისტორიულად მწვალებლობები საგან შეურყვნელი საქართველოს ეკლესიის სივრცე დაუთმეთ მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევს, რათა მას თავისი დასნებოვნებული წიგნის საშუალებით ექადაგა მწვალებლობა, გაევრცელებინა სწავლება, რომელიც ეწინააღმდეგება ქრისტეს ეკლესიის, ღმრთის სწავლებას, რითაც თქვენ ღმრთისსადარი პატივი მიაგეთ ალფეევს, რადგან ღმრთის სწავლების სუფევის არეალი დუთმეთ მას არა დასამოწმებლად, არამედ - უარსაყოფად. ეს ყოვლად დაუშვებელია და ამასთან დაკავშირებით უფლის სიტყვების პერიფრაზით მოგმართავთ: ***მიაგეთ ღმერთს ღმრისა და ალფეევს - ალფეევისა!.***

დასარულს კი სტუმარ-მასპინძლობის სწორად გაგებისათვის შეგახსენებთ სიტყვებს სახარებიდან: ***„რომელი მოვიდეს თქუენდა და ესე მოძღურებაი არა მოაქუნდეს, ნუ შეიწყნარებთ მას სახლთა თქუენთა და „გიხაროდენ“ ნუ ეტყვით მას. რამეთუ რომელმან ჰრქუას მას „გიხაროდენ“, ე ზიარების საქმეთა მისთა ბოროტთა“*** (2. ინ. 1:10-11).

ალექსი ოსიპოვი – ილარიონ ალფეევის კლონი და ეშმაკის კლოუნი



საეკლესიო მაღაზიებში იყიდება მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორის, ალექსი ოსიპოვის წიგნის „სიკვდილის შემდგომი სიცოცხლე" ქართული თარგმანი. წიგნი თარგმნა მონაზონმა სიდონიამ (მელითაური) და გამოიცა ბოდბის დედათა მონასტრის მიერ 2015წ. ამ წიგნში გადმოცემული ოსიპოვისეული ნააზრევები ისე ჰგავს მიტროპოლიტ ალფეევის წიგნში „სარწმუნოების საიდუმლოება" გადმოცემულ მოსაზრებებს, რომ ლამისაა პლაგიატობა დავაბრალოთ. სინამდვილეში ყველა ერეტიკოსი ეშმაკის პლაგიატია და, შესაბამისად, ეშმაკს ასიამოვნებს, მაშინ როდესაც ყოველი წმინდა მამა უფლის სწავლების „პლაგიატობას" ეწევა და ამით ღვთივსათნოდ იღვწის.

მართლაც, ალექსი ოსიპოვის დასახელებული წიგნი შეიცავს სხვადასხვა მწვალებლობებს, უამრავ არაეკლესიურ სწავლებებს და დიდ სფრთხეს უქმნის გამოუცდელ სულებს.

წიგნის თითქმის ყველა თავი გაჯერებულია არასწორი სწავლებებით, მათ შორის უხვადაა მწვალებლობები. კერძოდ:

1. ორიგენიზმი - თავები: „გეენა" (გვ. 82-88), „რა გველის საშინელ სამსჯავროზე" (გვ.89-93), „ქრისტე - ყოველთა კაცთა მაცხოვარი" (გვ. 94-101).

ეკლესია საღვთო წერილზე დაყრდნობით აღიარებს გეენას ტანჯვას, როგორც საუკუნოსა და დაუსრულებელს.

ამიტომაც დაგმო V მსოფლიო კრებამ ორიგენისტების ცრუსწავლება და მიიღო უმნიშვნელოვანესი მე-9 და მე-10 დადგენილებები, სადაც წერია:

9) ვინც ამბობს ან ფიქრობს, რომ დემონთა და უწმინდურ კაცთა სასჯელი დროებითია და გარკვეული დროის შემდგომ მას ექნება დასასრული, ანდა ის, რომ (ვითომდა დასასრულის შემდგომ) მოხდება უწმინდურ კაცთა და დემონთა აღდგენა - ანათემა მას.

10) ანათემა: ამის გამომთქმელ, ადამანტად წოდებულ ორიგენესაც, მის უწმინდურ, გარყვნილსა და დანაშაულებრივ მოძღვრებასთან ერთად და ყველა იმათ, რომელთაც ასეთნი აზრნი უპყრიათ, ანდა მათ (ე.ი. ისეთ აზრებს) იცავენ, ან კი როდესმე რაიმე სახით გაბედავენ მათ გამეორებას.

საყოველთაო სამსჯავროზე განკითხვას წმ. იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში „მეორე სიკვდილი" ეწოდება (გამოცხ. 20:14). ეკლესიის ამ სწავლების საწინააღმდეგოს ქადაგებს პროფესორი ოსიპოვი. მოგვყავს ციტატები დასახელებული წიგნიდან:

„გეენა ღვთისაგან განმზადებულია არა იმისათვის, რომ ადამიანი უსასრულოდ იტანჯოს, არამედ მის საცხოვნებლად!" (გვ.86); „ცოდვილს წარმოდგენაც კი არ ძალუძს საკუთარი მკვდრეთით აღსგომის მადლისა. უფრო მეტიც: ქრისტე ჯოჯოხეთად შთაგდებულთ დიდებაში აღადგენს, სამართლიანი მისაგებლის სანაცვლოდ უხრწნელების სრულყოფილი დიდებით შემოსავს" (გვ94). მსგავსი მწვალებლური აზრები უხვადაა წიგნში.

თავის ამ მწვალებლობის დასასაბუთებლად პროფესორი ოსიპოვი, ძირითადად, იშველიებს ფსევდო-ისააკ ასურის ერთ-ერთი თხზულების მეორე ტომს, რომელიც ერტიკოსებმა არც თუ დიდი ხნის წინ მკითხველს წარუდგინეს, როგორც უძველესი დაკარგული ნაშრომი და რომლის მიმართაც, როგორც ნაყალბევისა, საფუძლიანი

ეჭვები არსებობს. თუნდაც ის რად ღირს, რომ ღირსი ისააკ ასური თავის პირველ ტომში ჯოჯოხეთის სატანჯველს მარადიულს უწოდებს

(преп. Исаак Сириянину Слова подвижнические. М. 1993. с.312, (1,58)

ხოლო მეორე ტომის ავტორი ასეთ გამონათქვამს ღვთის გმობად მიიჩნევს.

საერთოდ, ეკუმენისტ-ორიგენისტები კარგად ფლობენ გაყალბების, ცილისმწამებლობის, წმინდა მამებისთვის მწვალებლური სწავლების დაბრალების, ე.წ. თეოლოგუმენის ხელოვნებას. ხსენებულ წიგნშიც პროფესორი ოსიპოვს თავისი მწვალებლური აზრების განსამტკიცებლად კონტექსტიდან ამოგლეჯილად მოჰყავს ფრაზები წმ. მამათა ნაშრომებიდან, როგორიცაა წმ. გრიგოლ ნოსელი (წმ. მარკოზ ეფესელი წმ. გრიგოლ ნოსელის ნაშრომების ზოგიერთ ადგილს პაპისტების ნაყალბევად და შემდგომ ჩამატებულად მიიჩნევდა), იოანე დამასკელი და სხვ. აქვე მოგვყავს ამონარიდი წმ. მარკოზ ეფესელის ერთი პოლემიკური წერილიდან, რომელიც დაწერილია წმ. გრიგოლ ნოსელის ნაშრომებთან დაკავშირებით, თუმცა ის სამართლიანია საზოგადოდაც: „დიდი განსხვავებაა კანონიკურ სწავლებას, ეკლესიის გადმოცემას და პირად შეხედულებას ან სწავლებას შორის. პირველს როგორც ღვთის მიერ ბოძებულს, უნდა ვერწმუნოთ, ხოლო მეორეს არ უნდა დავეყრდნოთ მთლიანად ან არ მივიღოთ გამოუკვლეველად, ვინაიდან, შესაძლებელია ვინმე მასწავლებელიც არის, მაგრამ არ ამბობდეს ყოველივეს სრული სიზუსტით; მაშინ, აბა რა საჭირო იქნებოდა მამების თავშეყრა მსოფლიო კრებებზე, თუკი ყოველი მათგანი უცდომელად ფიქრობდა და არც ერთი მათგანი არაფერში ცდებოდა?!”

ბ-ნი ოსიპოვი კი სწორედ ეკლესიის სწავლებას ეწინააღმდეგება და ამიტომ არის მისი აზრები მწვალებლური.

მოგვყავს სხვა ცდომილობები დასახელებული წიგნიდან:

2. წმინდა წერილის საწინააღმდეგო სწავლება იმის შესახებ, რომ საშინელ სამსჯავროზე ქრისტე კი არ განსჯის „ცოცხალთა და მკუდართა", არამედ ადამიანი თავად აირჩევს სამოთხესა თუ ჯოჯოხეთს, ხოლო ეს უკანასკნელი არის არა მისაგებელი, არამედ სულის საცხოვნებელი დროებითი ალაგი. - თავი „გეენა" (გვ.82-88).

მოგვყავს ციტატა: ***„მკვდრეთით აღმდგარი ადამიანი თავის საბოლოო „დიახს" ან „არას" ეტყვის ღმერთს. აი, რატომაა ეს სამსჯავრო საშნელი, და არა იმოტომ, რომ თითქოს უფალი, დაივიწყებს რა სიყვარულს, „სრული სამართლიანობით" განსჯის ადამიანურ საქმეებს."*** (გვ.93);

3. პანეკუმენისტური მწვალებობა, რომლის მიხედვითაც ასევე ცხონდებიან არაქრისტიანები, რომ საცხოვნებლად და ეკლესიის წევრობისათვის არ არის აუცილებელი ნათლისღება - თავი „ქრისტე - ყოველთა კაცთა მაცხოვარი" (გვ. 94-101). ამასთან ბ-ნი ოსიპოვი ცილისმწამებლობს და არაქრისტიანთა მაცხოვნებლად გამოჰყავს უამრავი წმინდა მამა.

(ციტატა): ***„წმინდა ისააკ ასურს, რათქმა უნდა, გაუმართლა, ჩვენს დროში რომ არ ცხოვრობს. ბევრი უსიამოვნება შეხვდებოდა სხვა წმინდა მამებთან ერთად, როგორებიც არიან: იუსტინე მარტვილი, გრიგოლ ნოსელი, ათანასე დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი, ეფრემ ასური, ამფილოქვე იკონელი, ეპიფანე კვიპრელი, იოანე დამასკელი, მაქსიმე აღმსარებელი და სხვა მრავალი, არაქრისტიანთა ცხონების შესაძლებლობის შესახებ ამგვარი აზრის გამო, ერეტიკოსის სახელს ვერ გაექცეოდა"*** (გვ. 95). დასახელებულ წმინდა მამებს დღევანდელ დღესაც წმინდა მამებად მიიჩნევს ეკლესია, ხოლო პროფესორი ოსიპოვი თავისი აზრებისა და ასე თაღლითურად ცილდაწამებული წმინდა მამების გამო ნამდვილად ვერ აცდება

ერეტიკოსის სახელს.

4. მწვალებლური სწავლება იმის შესახებ, რომ ჯვარცმის შემდეგ ქრისტემ ჯოჯოხეთი დააცალიერა და ყველა, მათ შორის ცოდვილებიც სამოთხეში აიყვანა - თავი „რატომ შთავიდა ქრისტე ჯოოხეთში" (გვ. 102-109)

ციტატა: ***„მაცხოვრის ეს ქადაგება (ჯოჯოხეთში) მიმართული იყო არა მხოლოდ მართალთადმი (ბუნებრივია, მოუნათლავებისადმი), არამედ. . . მკვდრებისადმი. . . და ყველა გარდაცვალებულისადმი - კაცობრიობის არსებობის დასაწყისიდან დასასრულამდე. ეკლესიის სწავლების თანახმად, ჯოჯოხეთმა, ხატოვნად რომ ვთქვათ, როგორც დაკეტილმა დილეგმა, არსებობა შეწყვიტა, დაიხსნა „ჯოჯოხეთის საკვრელნი".*** (გვ.102). ამგვარად, ბ-ნი ოსიპოვე ძველი აღთქმის მართლების ჯოჯოხეთიდან აღმოყვანებას ყველა ცოდვილზე განავრცობს და თან ამას ეკლესიის სწავლებად ასაღებს.

5. ერეტიკული სწავლება უნათლავ ჩვილთა და საერთოდ მოუნათლავ ადამანთა ცხონების შესახებ - (გვ 121). მაგალითად, ოსიპოვი თავის წიგნში აცხოვნებს ქრისტიანთა მდევნელს, წარმართ იმპერატორ ტრაიანეს და იზიარებს ჯოჯოხეთში ცრემლით ნათლობის ცნება (გვ.77-78), წმინდა მამად მოიხსენიებს ერეტიკოს ტერტულიანეს და ა.შ.

სხვა უამრავი ცდომილების მოყვანაც შიძლება დასახელებული წიგნიდან, მაგრამ, ვფიქრობთ, მოყვანილიც საკმარისია იმისათვის, რომ წიგნი ერეტიკულად, ეკლესიის სწავლების უარმყოფელად და საშიშ საკითავ წიგნად შეირაცხოს. ამიტომ მოვუწოდებთ წიგნის გამომცემთ, - რომელთა „გარჯა" პროფესორ ალექსი ოსიპოვის ერეტიკული წიგნის თარგმნასა და გამოცემასთან დაკავშირებით, მეტი რომ არ ვთქვათ, ფრიად გასაკვირია, - ამოიღონ ხსენეული წიგნი რეალიზაციიდან, რათა თუნდაც ერთი ცდუნებული სულის გამო არ მოუწიოთ პასუხისგება ღვ-

თის წინაშე. იმედია, რომ ისინი არ იზიარებენ მოდერნ-ისტ-ნეოორიგენისტების მწვალებლურ სწავლებას ჯოჯოხ-ეთის გაუქმებისა და მოუნანიებელ ცოდვილთა ცხონების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციით;
2. წმინდა მარკოზ ეფესელი და ფერარა-ფლორენციის უნია;
3. მსოფლიო საეკლესიო კრებები;
4. წმინდა იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტება;
5. წმინდა იოანე ოქროპირის იოანეს სახრების განმარტება;
6. წმინდა ეფრემ ასური: „ქადაგება უფლის მოსვლისათვის, სოფლის აღსასრულისა და ანტიქრისტესათვის.“;
7. წმინდა იოანე დამასკელი: „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გარდამოცემა.“
8. წმინდა იოანე შანხაელი: „ქადაგებები“;
9. მღვდელმოწამე კვიპრიანე კართაგენელი: „ეკლესიის ერთობის შესახებ.“;
10. ეპისკოპოსი ილია მინიატისი: „ქადაგებები“;
11. მღვდელ-მონაზონი სერაფიმე როუზი: “სული სიკვდილის შემდეგ“.

ვინ და რატომ „იღვწის“ საქართველოში მწვალებლური წიგნების გასავრცელებლად?

ვფიქრობთ, ეს კითხვა ბუნებრივად ჩნდება, რადგან მწვალებლური და მოდერნისტული წიგნების მომრავლება ქართულ საეკლესიო სივრცეში თვალნათლივია და ჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ ამ სულიერი კიბოს გავრცელებას მიზანმიმართული ხასიათი აქვს და მის უკან დგანან სწორედ ის ძალები, ეკლესიის შიგნით თუ გარეთ, რომელთაც არ მოსწონთ საქართველოს ეკლესიის მართლმკვეთელური, წმინდამამობრივ სწავლებაზე დაფუძნებული კურსი. მათ ჩვენ პროეკუმენისტურ ძალებს ვუწოდებთ. ისინი, ხშირად, ცილს სწამებენ საქართველოს ეკლესიას, რომ თითქოს იგი რუსეთის ეკლესიის გავლენის ქვეშ იმყოფება, რაც საფუძველს არის მოკლებული. უფრო საფუძვლიანი იქნებოდა, პირიქით რომ ეთქვათ. ამავე დროს როდესაც რუსი ეკუმენისტებისა და მოდერნისტების წიგნებს შეეხება საქმე, ამ დროს ისინი აღარ მიზეზობენ და მოაქვთ რუსეთიდან შხამიანი სარეველა, რითაც საფრთხეს უქმნიან საეკლესიო სწავლებაში გაუთვითცნობიერებელ პირებს, განსაკუთრებით კი - მომავალ თაობას. სამწუხაროდ, ასეთნი ეკლესიის საგანმანათლებლო სივრცეშიც არიან მოკალათებულნი და, ცხადია, მავანის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. ის, თუ ვინ არის მართლმადიდებელ ეკლესიაში ეკუმენიზმის მებაირახტრე და გამავრცელებელი, ვფიქრობთ, ეს სავსებით თვალნათლივ წარმოჩნდა კუნძულ კრეტაზე გამართული ე.წ. „დიდი კრების“ დროს.

ის, რომ ეს „კრება“ სინამდვილეში იყო განდგომილების, ეკუმენისტური კრება, ამას მოწმობენ შემდეგი ფაქტები:

1. „კრებას“ წინ უსწრებდა რამდენიმე ღვთისმსახურება, რომელსაც მართლმადიდებელთა გარდა ესწრებოდ-

ნენ მწვალებლები: ლათინო-პაპისტები, პროტესტანტები, მონოფიზიტები და ა.შ. მსახურებები, ფაქტობრივად, ერთობლივი ლოცვის ხასიათს ატარებდა, რის გამოც,

დიდი სჯულის კანონის თანახმად, მასში მონაწილე საულიერო პირები განკვეთას ექვემდებარებიან, ხოლო საერონი - უზიარებლობას.

2. მწვალებლები ასევე ესწრებოდნენ „კრების“ სხდომებს.

3. „კრებამ”, ფაქტობრივად, უცვლელად მიიღო აშკარა დოგმატური და კანონიკური ცდომილებების მატარებელი ეკუმენისტური დოკუმენტები: „მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან” და „მართლმადიდებელი ეკლესიის მისია თანამედროვე მსოფლიოში”. რაც შეეხება მესამე პრობლემურ დოკუმენტს: „ქორწინების საიდუმლო და მისი დამაბრკოლებელი გარემოებები”, რომლის პირვანდელი ვარიანტი შეიცავდა დოგმატურ ცდომილებებს, მიიღეს სახეშეცვლილი სახით, კერძოდ არამართლმადიდებლებთან ქორწინება საერთო საეკლესიო სივრცეში არ „დააკანონეს”, თუმცა ამის შესაძლებლობა დაუტოვეს ადგილობრივ ეკლესიებს ცალ-ცალკე, იკონომიის პრინციპზე აპელირებით. ამით, რა თქმა უნდა, პრობლემა მაინც დარჩა ეკლესიაში.

4. „კრების” ეკუმენისტური სული გამოიხატა არა მარტო ერთობლივ ლოცვებსა და ზემოთ ხსენებულ დოკუმენტებში, არამედ „კრების” მიერ მიღებულ სხვა ორ დოკუმენტშიც, „კრების მიმართვასა” და „მრგვლივმოსავლელ გზავნილში”. ეს დოკუმენტები უფრო მოგვაგონებს რაღაც ჰუმანიტარულ-სოციალური მოძრაობის დოკუმენტებს, ვიდრე ეკლესიის გზავნილს მსოფლიოსადმი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ მივიჩნევთ, რომ კრეტაზე ჩატარებული „სრულიად მართლმადიდებელთა წმინდა და დიდი კრება” იყო ეკუმენისტური

და განდგომილების კრება, ამიტომ იგი ვერ იქნება ვერც „დიდი” და ვერც „წმინდა”. ის სამართლიან კრიტიკას იწვევს მორწმუნეებში. არც ის არის გამორიცხული, რომ „კრებამ” და მისმა შედეგებმა დაპირისპირება და განხეთქილებები გამოიწვიოს ეკლესიაში, რაზეც უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პირველ რიგში ორგანიზატორებს, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და მის პატრიარქს, ასევე მასში მონაწილე ყველა სასულიერო თუ საერო პირს.

აი, ვისთან არიან თანხმობაში, თუ არა დაქვემდებარებაში, ის ძალები, რომლებიც მწვალებლური წიგნებისა და სწავლებების გავრცელებისათვის ირჯებიან საქართველოში!

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი.

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

პროტოპრესვიტერ შმემანის სექტანტურ-პროტესტანტული შიზოფრენია

თბილისი
2017წ.

ბროშურაში განხილულია პროტოპრესვიტერ ალექსანდრე შმემანის ანტიმართლმადიდებლური, მოდერნისტული, სექტანტურ-პროტესტანტული სწავლება. სამწუხაროა, რომ პრ. შმემანს, ასევე სხვა რუს მოდერნისტ-განმაახლებლებს, მიმდევრები და თაყვანისმცემლები საქართველოს ეკლესიაშიც გამოუჩნდნენ, მათ შორის – სემინარია–აკადემიის ლექტორთა და მათ მიერ გზააბნეულ სტუდენტთა შორის. ისინი თარგმნიან ხსენებული ავტორების წიგნებს, ავრცელებენ საეკლესიო მაღაზიებში, ურჩევენ მწვალებლურ და მოდერნისტულ წიგნებს სტუდენტებს საკითხავად და სახელმძღვანელოებად. საპატრიარქოს გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტი რომ არ ასრულებს თავის მოვალეობას, ეს თვალსაჩინოა, – იგი არის მორღვეული კარიბჭე, რომლიდანაც სულიერი უწმინდურობა იღვრება ჩვენი ეკლესიის სივრცეში. სწორედ ამ დეპარტამენტის ვიზირებით ხდება ამ წიგნების რეალიზება საეკლესიო მაღაზიებში.

გლობალიზმი ანტიქრისტეში, ანუ ლიბერალებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!!!

წმიდა წერილში მაცხოვარი და მოციქულები გვაფრთხილებენ, რომ ბოლო ჟამის ერთ–ერთი ნიშანი იქნება ცრუმოძღვართა მომრავლება, რომლებიც, ვითარცა ცხვრის ქურქში გახვეული მგლები, მრავალს წარიტაცებენ, აცდუნებენ და წარწყმედენ. მე–20 საუკუნის რუსეთი ასეთ ცრუმოძღვართა, ლიბერალ–მოდერნისტთა სამჭედლო იყო. გასული საუკუნის 20–ანი წლების „ნოვოცერკოვნიკების“ პლეადა შეცვალეს შუაწლებისა და ბოლო წლების მოდერნისტ–ეკუმენისტებმა, როგორიცაა შმემანი, მეიენდორფი, მენი, ოსიპოვი, კურაევი, ნიკოდიმელები (მიტროპოლიტ ნიკოდიმოს როტოვის სულიერი შვილები) და ა.შ. მათი მიმდევრები დღესაც „წარმატებით“ იღვწიან თავიანთ ასპარეზზე, ზოგიერთი – რუსეთის ეკლესიის უმაღლეს ეშელონებში.

სამწუხაროდ, მიმდევრები და თაყვანისმცემლები ამ ლიბერალებს საქართველოს ეკლესიაშიც გამოუჩნდნენ, მათ შორის – სემინარია–აკადემიის ლექტორთა და მათ მიერ გზააბნეულ სტუდენტთა შორის. ისინი თარგმნიან ხსენებული ავტორების წიგნებს, ავრცელებენ საეკლესიო მაღაზიებში, ურჩევენ მწვალებლურ და მოდერნისტულ წიგნებს სტუდენტებს საკითხავად და სახელმძღვანელოებად. საპატრიარქოს გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტი რომ არ ასრულებს თავის მოვალეობას, ეს თვალსაჩინოა, – იგი არის მორღვეული კარიბჭე, რომლიდანაც სულიერი უწმინდურობა იღვრება ჩვენი ეკლესიის სივრცეში. არაერთხელ მივმართეთ ამ სამსახურს აშკარა მწვალებლობების შემცველ წიგნებთან, მათ შორის ნათარგმნ ლიტერატურასთან (ალფეევი, ოსიპოვი და ა.შ.) დაკავშირებით, მაგრამ უშედეგოდ. მეტიც, სწორედ ამ დე-

პარტამენტის ვიზირებით ხდება ამ წიგნების რეალიზება საეკლესიო მაღაზიებში.

ისმის კითხვა: რა იზიდავს ზოგიერთ ქართველ სასულიერო თუ საერო პირს რუს–მოდერნისტებში? პაუხი მარტივია: სწორედ ის, რაც მიუღებელია ეკლესიის სწავლებისათვის. ეს ქართველი ლიბერალი სასულიერო პირები, იმ ბუზის მსგავსად, რომელიც, მთელი არე–მარე რომ ყვაოდეს, მაინცადამაინც უწმინდურებას მოძებნის და იმას დააჯდება, ასე ეწაფებიან ხსენებული ავტორების მწვალებლურ აზრებსა და ნაშრომებს, და ჩვენც, წმ. გაბრიელ ქიქოძის სიტყვები რომ გამოვიყენოთ, სწორედ ამ ნეხვს მოგვიტანენ და ცხვირწინ დაგვიდებენ. ასეთი რელიგიური უწმინდურება კი ზემოთ ხსენებულ რუს მოდერნისტებში არამც თუ საძებარი, ძალზედ მრავლადაა.

უცნაურია, მაგრამ ეს ქართველი ლიბერალ–მოდერნისტები, თავიანთი ყოფილი პატრონების, ნაც–ხელისუფლების წარმომადგენლების მსგავსად, შემთხვევას არ უშვებენ, რომ ცილი არ დასწამონ ჩვენს ეკლესიას იმაში, რომ თითქოს იგი რუსეთის ეკლესიის გავლენის ქვეშ იმყოფება, ამასთან ამის დასამტკიცებლად არამც თუ ფაქტი, არამედ რამდენადმე ლოგიკასთან ახლოს მყოფი ვარაუდიც კი ვერ მოყავთ, თვითონ კი რუსული ეკლესიის მოდერნისტული ფრთის გავლენის ქვეშ (იქნებ ფრთებქვეშაც) იმყოფებიან და ამ რუს–მოდერნისტთა სულის მბილწველი ნაშრომების იმპორტით არიან დაკავებულნი, – ირჯებიან, თარგმნიან, ავრცელებენ, სტუდენტებს წამლავენ. რატომ? პასუხი აქაც მარტივია: მიმდინარეობს გლობალიზაცია ანტიქრისტეში, რომელიც, სხვასთან ერთად, გულისხმობს ანტიქრისტეს სტანდარტების გავრცელებასა და დანერგვას, იქნება ეს ზნეობრიობის სფეროში, თუ სარწმუნოებრივ სფეროში. ამიტომაც ვუწოდებთ ჩვენ რელიგიურ ლიბერალიზმს, განსაკუთრებით კი ეკუმენიზმს, რელიგიურ ჲთ–იზმს.

ამჯერად ჩვენ თავს შევიკავებთ ხსენებული ქართველი ლიბერალი სასულიერო პირების დასახელებისაგან, თუმცა მათ თავადვე ააჭრელეს სოციალური ქსელი თავიანთი კოლექტიური ფოტოთი, რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ: „ლიბერალებო ყველა ქვეყნისა – შეერთდით!!!“ არ გეგონოთ, ეს ირონია იყოს. ანტიქრისტეში წინანდელი გლობალიზაცია მესამე ინტერნაციონალის სახით, რომელსაც რუსი ბოლშევიკები ახორციელებდნენ იუდეურ-კაბალისტურ–მასონური მსოფლიო ხელისუფლების დაკვეთითა და ფინანსირებით, ვერ შედგა (მიზეზებზე ახლა არ შევჩერდებით). მაშინ გლობალიზაციის ლოზუნგი იყო „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“. თითქმის საუკუნის შემდეგ იგივე მსოფლიო ხელისუფლება უკვე ლიბერალიზმის იდეოლოგიის დროშით ახორციელებს გზლობალიზაციას ანტიქრისტეში, რომლის გაუხმიანებელი ლოზუნგიც სწორედ ეს არის, – „ლიბერალები ყველა ქვეყნისა შეერთდით!“

გადავიდეთ ჩვენი განხილვის მთავარ თემაზე. გასულ წელს ჩვენ გამოვეცით ბროშურა ალფეევისა და ოსიპოვის თარგმანებთან დაკავშირებით სათაურით: „მიეცით ღმერთს ღმრთისა და ალფეევს ალფეევისა“ და „ოსიპოვი – ალფეევის კლონი და ეშმაკის კლოუნი“, რომელშიც შევეხეთ ხსენებული ავტორების ქართულად თარგმნილ წიგნებში არსებულ მწვალებლობებს. წინამდებარე ბროშურაში ჩვენ შევეხებით სხვა რუს მოდერნისტებს, რომელთა მიმდევრებიც ტოტალიტარული სექტის მსგავს ერთობად ჩამოყალიბდა. სწორედ ამ სექტასა და სექტანტობას უერთდებიან ჩვენი ზემოთ ხსენებული ქართველი ლიბერალები. ამჯერად გთავაზობთ მასალას ერთ–ერთი ასეთი სექტის ფუძემდებლის, პროტოპრესვიტერ ალექსანდრე შმემანის (1921–1983) შეხედულებებთან დაკავშირებით.

პრ. შმემანი და მისი სექტა

საზოგადოდ სექტების წარმოშობა–გამრავლების თვალსაზრისით ყველაზე „ნაყოფიერი“ სწორედ 20–ე საუკუნე იყო. განსაკუთრებით ნოყიერი ნიადაგი სექტებმა 20–ე საუკუნის რუსეთის ეკლესიის გარკვეულ წრეებში ჰპოვეს. ათეისტურ–ბოლშევიკურ რუსეთში ეკლესია ფრიად შეჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, წითელი ტერორის შემდეგ 1918–1925 წწ. ეკლესიის სამღვდელოება თითქმის მთლიანად განადგურდა, მორწმუნე ერი დახოცილ, დაშინებულ და დევნილ იქმნა. ეს იყო მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებელთა ტერორი რუსეთში, ზუსტად ის, რაც უოლსტრიტმა დაუკვეთა რუს მასონებს, იუდეველებს, ბოლშევიკებს და უხვადაც დააფინანსა აშშ, გერმანიასთან, ბრიტანეთთან და ევროპის სხვა ქვეყნებთან ერთად. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ეკლესია წინააღდეგობას ვეღარ უწევდა დასავლეთიდან ხელშეწყობილ, მოზღვავებულ განმახლებლობასა და მოდერნიზმს. მანამდეც რუსეთის ეკლესია საკმაოდ სეკულარიზებული იყო პეტრე პირველის მიერ ევროპულ ყაიდაზე გატარებული რეფორმების წყალობით.

რუსული მოდერნიზმის გაღვივებასა და აღზევებაში დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო მასონური ხელისუფლების წარმომადგენლის, ანტონ კარტაშევის მიერ დაარსებულმა პარიზის „სვიატო–სერგეევსკის“ საღვთისმეტყველო ინსტიტუტმა. მამა სერაფიმე როუზის აზრით „ინსტიტუტმა სახელი გაითქვა, როგორც მოდერნისტული ღვთისმეტყველების ცენტრმა. . . ***„პარიზული მართლმადიდებლობა“ თეოლოგიური მოდერნიზმის ასოცირებული ტერმინი გახდა“***(მღვდელმონაზონი დამასკინი, „სერაფიმე როუზი“, ცხოვრება და შრომები, ქართ თარგმ., თბილისი 2015წ., გვ. 477).

სწორედ ეს სასწავლებელი დაამთავრა ალექსანდრე შმემანმა 1945 წელს. 1946 წელს იგი მღვლად აკურთხეს. 1951 წლიდან იგი აშშ–ში გადასახლდა. აქ იგი კონტაქტში შედის „ცსს“–სთან (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, ე.წ. „ცერეუ“), თანამშრომლობს მისი კონტროლის ქვეშ მყოფ რადიო „თავისუფლებასთან“. სწორედ შმემანი იყო ცნობილი მასონური ძმობის „სინდეზმოს“–ის ერთ–ერთი დამაარსებელი და მისი პირველი მდივანი.

მამა ს. როუზი უშუალო შეხებაში იყო 50-ან წლებში ამერიკაში ემიგრირებულ ამ რუს „პარიზელ თეოლოგთა“ მოღვაწეობასთან. დასახელებულ წიგნში ვკითხულობთ: *„მამა ალექსანდრე შმემანი, მამა იოანე მეიენდორფი. . . კრიტიკულად ეკიდებოდნენ მართლმადიდებლობის ისტორიას, ტრადიციას, წმინდა წერილს, მამათა სწავლებებს, ლიტურგიკასა და ადათებს, მონაწილეობდნენ უახლეს თეოლოგიურ, სახელდობრ, „სათავეებთან დაბრუნების“ მიზნით კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიებში დაწყებულ „ლიტურგიკულ მოძრაობაში“... ქრისტიანული ტრადიციის რაციონალისტური კრიტიკა თავდაპირველად პროტესტანტებმა და კათოლიებმა წამოიწყეს. მათ მხარი აუბეს რუსმა მოდერნისტებმა 50-ან წლებში. ასეთი „პატროლოგია“ მხოლოდ და მხოლოდ რაციონალისტური განსწავლულობაა... მეტად სავალალო შედეგს ვიღებთ, როდესაც მართლმადიდებელი მეცნიერები ამ ფსევდოპატროლოგთა სწავლებას იზიარებენ. . . ამით ბევრი მართლმადიდებელი ტყუვდება“...პარიზიდან ამერიკაში ემიგრირებული ზოგიერთი ღვთისმეტყველი კრიტიკულად ეკიდებოდა „დრომოჭმულ მართლმადიდებლურ ღვთისმოსაობას“ (ამ სიტყვას დამამცირებელი მნიშვნელობით ამბობდნენ)... ლაპარაკობდნენ „მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებაში ახალი გზების ძიების... და შესაბამისად მართლმადიდებლობის წმინდა სახით აღდგენის შესახებ“*(გვ. 477-479).

პრ. შმემანის ღმრთისმეტყველება გამოირჩევა ღმრთისმგმობი მწვალებლობებით. მისი რწმენის საგანი იყო მის წარმოსახვაში არსებული „ძველი ქრისტიანობა“, და არა ქრისტე და მისი ეკლესია. ამასთან მისი სწავლების ქვაკუთხედი იყო ე.წ. „მართლმადიდებლური გამოცდილება“, რომელსაც ის უპირისპირებდა დოგმატურ რწმენასა და სულიწმინდისეული მადლით ცხოვრებას. ამ თავის ძიებაში, მცდარში როგორც მიზანი და მეთოდი, პრ. შმემანი უცილობლად და თანმიმდევრულად ცდებოდა, და სხვებიც დიდ შეცდომაში შეჰყავდა.

პრ. შმემანის სწავლებას არანაირი შეხების წერტილები არა აქვს მართლმადიდებლურ სწავლებასთან. ის პირწავარდნილი სოფისტი და ჭეშმარიტების მტერი იყო, ამასთან ის არათანმიმდევრულიც იყო, ანუ მისი სწავლება თავის თავშივე წინააღმდეგობრივი იყო და არის. ეს სწავლება მოიცავდა მთელ კომპლექსს მცდარი მტკიცებულებებისა. კერძო მტკიცებულებები, ისტორიული და ლიტურგიული კონცეფციები, მისი ოკულტური სწავლება „სამყაროს, როგორც საიდუმლოს“, „მთელი სამყაროს განწმენდის“ შესახებ, მისი ჰერმეტიკული სწავლება სიმბოლოს შესახებ, დროისა და კოლექტივის იმქვეყნიური მისტიკის შესახებ, – ყველა ეს განსხვავებული მოსაზრებები არანაირ კავშირში არ არიან არც ერთმანეთთან, არც პრ. შმემანის მთავარ თეზისთან ქრისტიანობის, როგორც მთლიანობითი და ცოცხალი გამოცდილების შესახებ სწავლებასთან.

პრ. შმემანის სწავლება განეკუთვნება ქრისტიანობისგან განსხვავებულ, რაღაც სხვა რელიგიას. თავის ტოტალურ დაპირისპირებას მართლმადიდებლობასთან, საზოგადოდ, თავად პრ. შმემანიც აცნობიერებდა. ამასთან იგი თავს იმით იმართლებდა, რომ, თითქოს, ის ეკამათებოდა რაღაც არასწორ, არანამდვილ ქრისტიანობას: ბიზანტიურს, რუსულს, სქოლასტურს და ა.შ. სინამდვილეში პრ. შმემანის დაპირისპირებას ქრისტიანობასთან ჰქონდა იდე-

ოლოგიური ხასიათი. ეს უკვე არ არის პირადი ურწმუნოება ეკლესიის დოგმატური სწავლების მიმართ, არამედ ატარებს საზოგადო და ყოვლისმომცველ ხასიათს.

პრ. შმემანის ეს იდეოლოგიური მსოფლმხედველობა შეიძლება ზოგადად დავახასიათოთ როგორც ათეისტური მონიზმი, უფრო სწორად, ჰოლიზმი. ესაა იმ მითის რწმენა, რომ ღმერთისა და სამყაროს, ადამიანისა და ბუნების ცხოვრება არის ერთიანი და დაუნაწევრებელი, არსისა და პიროვნების, ჭეშმარიტებისა და სიცრუის, სიკეთისა და ბოროტების განცალკევებულობების გარეშე. ეს არის რწმენა სამყაროს ტოტალურობისა, რომელიც შეიმეცნება ადამიანის მიერ ასევე ტოტალურად.

ათეისტური მონიზმის სახით პრ. შმემანი მკითხველს აწვდის თავის ლიბერალურ რწმენას ადამიანის აბსოლუტური თავისუფლებისა და აბსოლუტური ღირებულების შესახებ. ამასთან იგი თავის სწავლებას უპირისპირებდა მართლმადიდებლობას, ისევე, როგორც, თითქოს, უპირისპირდება „სრული“ – კერძოს, „მთლიანობითი“ – დანაწევრებულს, „ცოცხალი“ – მკვდარს, როგორც „რეალური“ – განყენებულად თეორიულს. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ის თავის სწავლებას უპირისპირებს ქრისტიანობას, რადგან, მისივე აზრით, მისი სწავლება არის „თავად ცხოვრება“, ხოლო ქრისიანობა – მხოლოდ რელიგია.

მ. ს. როუზის აზრით: *„შმემანის წიგნში „შესავალი ლიტურგიკულ ღვთისმეტყველაბაში“ (1961წ.) მოყვანილი არგუმენტები პროტესტანტული უფრო იყო, ვიდრე მართლმადიდებლური... მისი აზრთა წყობაში საგრძნობლად შეინიშნებოდა ანგლიკანი ლიტურგისტის, ტომ გრეგორი დიქსის გავლენა, მაგრამ გაცილებით ჭარბობდა ფრანკო-რომაული მოძრაობის გავლენა... იგი (შმემანი-ავტ.) იმ მართლმადიდებელ ავტორთა პოზიციას უარყოფდა, რომელთა შეხედულებითაც ღვთისმსახურების მთელი ისტორია „ღვთივდადგენილი და განგებით განსაზღვრული“*

იყო. მისი აზრით საღვთისმეტყველო დედააზრი მეორეხარისხოვანმა შრეებმა დაჩრდილა. ეს „მეორეხარისხოვანი შრეები“ კი სწორედ იმ ელემენტებს შეიცავდა, რომელიც პროტესტანტობამ უარყო. კერძოდ, ესენია: სასულიერო და საერო პირებად დაყოფა, საეკლესიო დღესასწაულებსა და სადაგ დღეებს შორის დაყოფა, წმინდანთა განდიდება, წმინდანთა ნაწილების თაყვანისცემა და მისთ. იგი ეჭვქვეშ აყენებდა „მთელი მართლმადიდებლური ლიტურგიკის მართებულობას“(დასახელებული წიგნი, გვ. 480-481)

პრ. შმემანის მოსაზრებებს მიუღებლად თვლიდა ჯორდანვილის ყოვლადწმიდა სამების პედაგოგი, მამა მიქაელ პომაზანსკი. იგი წედა: *„იგი* (პრ. შმემანი-ავტ)*, ხარკს უხდის თანამედროვე მეცნიერებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ მეთოდს: ყურადღების მიღმა ტოვებს ღვთიური მადლმოსილების იდეას, საყოველთაოდ მიღებულ აზრს ლიტურგიკული თანამიმდევრობის დამდგენელთა სიწმინდის შესახებ“*(იგივე წიგნი, გვ. 481).

პრ. შმემანის პროტესტანტული სული თავს იჩენს საერო პირთა ზიარების საკითხთან დაკავშირებითაც. იგი თავის წიგნებში „ევქარისტია. მეუფების საიდუმლო“ და „შესავალი ლიტურგიკულ ღვთისმეტყველებაში“ ქადაგებს გამარტივებული მიდგომის აუცილებლობაზე, თითქოსდა ეს იქნებოდა მოციქულთა დროინდელი ქრისტიანობისკენ მიბრუნება, და მოუწოდებს, რომ წმიდა ბარძიმთან მიახლება უნდა ხდებოდეს რაიმე მომზადების გარეშე, რომ ამისთვის სულის განსაწმენდად არავითარი შრომა არ არის საჭირო. წარმოიდგინეთ: პროფესორ–პროტოპრესვიტერი უზის საწერ მაგიდას აბოლებული სიგარეტით პირში და თავისი წიგნისთვის თხზავს თავს იმის შესახებ, რომ უნდა ვეზიარებოდეთ ყოველ ლიტურგიაზე ყოველგვარი მომზადებისა და შეზღუდვის გარეშე! შეიძლება კი ვენდოთ თამბაქოს ბოლითა და ნიკოტინით გაჟღენთილ ასეთ წიგნს, რომელიც ეძღვნება ევქარისტიის წმიდა საიდუმ-

ლოს? შმემანის სწავლება ზიარებასან დაკავშირებით არის მეორე უკიდურესობა, საპირისპირო იმ უკიდურესობისა, რომელიც, სამწუხაროდ, საკმაოდ ფეხმოკიდებულია ჩვენს ეკლესიაში და რომელიც ქადაგებს, რომ მორწმუნე ხშირად არ უნდა ეზიაროს, არამედ, ლამისაა, წმინდანობამდე უნდა განიწმინდოს და ისე მიეახლოს წმ. ბარძიმს, თანაც – იშვიათად. იქნებ შმემანის სწავლება არის პროტესტანტიზმი, რომელიც სწორედ ასეთმა უკიდურესობამ შვა?

პრ. შმემანის მოდერნისტული სწავლების მიმდევრები ჩამოყალიბდნენ როგორც ტოტალიტარული სექტა. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია თვალი გადავავლოთ მოხსენებებს მათი ბოლო სემინარისა, რომელიც ჩატარდა ა. სოლჟენიცინის სახელობის ბიბლიოთეკა–ფონდში „რუსული საღვარგარეთი“. მაგალითად, სკანდალურმა მღვდელმა ვლადიმერ ლაპშინმა წარმოადგინა მოხსენება „ურთიერთობის სიხარული“, რომელშიც მოდერნიზმის, განმახლებლობისა და ეკუმენიზმის ერესის წინააღმდეგ ბრძოლას სულიერ ფაშიზმი უწოდა. სემინარზე ასევე წაკითხულ იქნა მოხსენებები სექტანტებისა ინგლისიდან, იტალიიდან, რუსეთიდან. მაგალითად პ. სკორერის (იგლისი) მოხსენების სათური იყო „ცრუ რელიგიის დასაწყისი – სიხარულის უუნარობა“. ვატიკანის წარმომადგენლობის ატაშემ რუსეთში, კათოლიკური ფონდის „ქრისტიანული რუსეთის“ წარმომადგენელმა, ჯოვანა პარავიჩინიმ გააკეთა მოხსენება „სიხარული – ესაა შეხვდე ქრისტეს მზერას“, რომელშიც პრ. შმემანის „სულიერი გამოცდილებისა“ და კათოლიკი ე.წ. „წმინდანის“ კარლ კიოკის სწავლებებში არსებულ პარალელებზე ისაუბრა. თვალშისაცემია სხვა მოდერნისტული მოხსენებების ანტიმართლმადიდებლური ხასიათი.

ჩვენ არ შევუდგებით პრ. შმემანის სწავლების უფრო დეტალურ დახასიათებას, რომელიც შეიძლება გაუგებარიც იყოს მკითხველთა რამდენადმე ფართო წრისათვის.

დაინტერესებულ მკითხველს ჩენი წერილის ბოლოს მივუთითებთ წყაროებზე, სადაც მათ შეუძლიათ პრ. შმემანი ცრუსწავლებებთან დაკავშირებით უფრო დეტალური ანალიზი იხილოდ. აქ კი მოვიყვანთ ამონარიდებს პრ. შმემანის „დღიურებიდან“, რადგან თავად პრ. შმემანის ამ ჩანაწერებიდან საკმაოდ მკაფიოდ ჩანს მისი დაპირისპირება მართლმადიდებლობასთან, მისი საწმუნოებრივი და ზნეობრივი ლიბერალიზმი, მისი ღვთისმგმობი იდეოლოგია და სექტანტურ–პროტესტანტული აზროვნება.

შმემანის დღიურები

პრ. შმემანის „დღიურები“ – ეს არის თავად ავტორის მიერ 1973–1983 წლებში გაკეთებული ჩანაწერები, აკინძული წიგნად. „დღიურებში“ პრ. შმემანი პირდაპირ წერდა: ***„მე მძულს მართლმადიდებლობა“.*** ის ამტკიცებდა, რომ არ არსობობენ წმინდანები და სიწმინდეები, რომ სიწმინდეების თაყვანისცემა უცხოა მართლმადიდებლი სარწმუნოებისათვის.

ასეთი სარწმუნოებრივი ლიბერალიზმი მასში შეხამებული იყო ზნეობრივ ლიბერალიზმთან. ის მარხვებში ჭამდა ხორცს და ეწეოდა თამბაქოს. დიდი მარხვის ერთ–ერთ დღეს ის თავის დღიურში ჩაწერს: ***„მე გეახლებით ქათამს და ვუყურებ ხელბურთს“.***

პრ. შმემანის ღმრთისმგმობი და მოდერნისტული მოსაზრებების საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ამონარიდები ხსენებული, 2005 წელს გამოცემული დასახელებული წიგნიდან „დღიურები“:

პრ. შმემანს სრულებით ატროფირებული ჰქონდა ეკლესიურობის გრძნობა, და ის არც მალავდა თავის ზიზღს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ, რომელსაც იგი, თავისდა საუბედუროდ, ეკუთვნოდა:

„მე არ მიყვარს, არ შემიძლია მიყვარდეს მართლმადიდებელი ეკლესია. . . ეს ქალური ღვთისმოსაობა . . . მთელი ეს დღეები (ეს ჩანაწერი გაკეთებულია შობის მარხვაში – ავტ) ***– მთელი სიამოვნებაა ინსბრუკის ზამთრის ოლიმპიადის ყურება ტელევიზორში“*** (დღიურები, გვ 248–249);

„. . . როგორ უსაზღვროდ დავიღალე ყოველგვარი ამ „მართლმადიდებლობიზმით“, ამ აურზაურით ბიზანტიასთან, რუსეთთან, ყოფასთან, სულიერებასთან, ეკლესიასთან, ეკლესიურობასთან, ღვთისმოსაობასთან დაკავშირებით. . .“ (გვ. 331);

„მე სულ უფრო და უფრო არ მიყვარს ბიზანტია, ძველი რუსეთი, ათონი, ანუ ყოველივე ის, რაც ყველასთვის არის მართლმადიდებლობის სინონიმი. . .მხოლოდ საკუთარ თავს შეიძლება გამოვუტყდე იმაში, რომ ჩემი ინტერესი მართლმადიდებლობის მიმართ იმის უკუპროპორციულია, რაც აინტერესებთ – და ესე მხურვალედ! – მართლმადიდებლებს“ (გვ. 237);

„როგორ დავიღალე მე ჩემი პროფესიით. . . სიყალბის ასეთი მუდმივი გრძნობა, გრძნობა იმისა, რომ ვიღაცის როლს თამაშობ. და შეუძლებელია ამ როლიდან გამოსვლა“ (გვ.17).

მართლაც, ლიბერალ–მოდერნისტი სასულიერო პირების ერთი საერთო ნიშანია ის, რომ მათთვის მღვდლობა მოწოდება და პასუხისმგებლობა კი არ არის, არამედ პროფესიაა, კეთილ–წყემსობა კი არა არის, არამედ – საშოვარის ასპარეზი, სამწყსო მოვალეობის შესრულება კი არა – თამაშია, სასულიერო პირის როლის თამაში. ამიტომაც არის ბუნებრივი ის, რომ ასეთი „სამღვდელოება“ იმათ დაკვეთას შეასრულებს და იმათ მოემსახურება, ვინც მეტს გადაუხდის. ასეთი მიდრეკისა და სულიერი მეტამორფოზის, უფრო სწორად – დეგრადაციის მაგალითები ჩვენი ეკლესიის ახლო წარსულიდანაც შეგვიძლია მოვიყვანოთ, ანუ ის, თუ ვინ გახდა ეკლესიის მტრების დაუფარავი რუპორი ეკლესიაში, ვინ გაიხადა კაბა და კარდენის კოსტუმში გამოეწყო, ვინ ეხმარებოდა ნაც.ხელისუფლებას ვერშემდგარ საეკლესიო გადატრიალებაში და ა.შ. ვაი ასეთ „მღვდლებს“ ღმრთის სამსჯავროზე!

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე მოდერნისტული გამონათქვამი თანამედროვე „მართლმადიდებელ“–ლიბერალების სათაყვანებელი (უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა – გამოსათაყვანებელი) პროტოპრესვიტერის, თავისი „პროფესიით“ დაღლილი ა. შმემანის „დღიურებიდან“:

„სულიერება“, „ეკლესიურობა“ – რა ორაზროვანი და ამ-

იტომ საშიში ფრაზებია“(გვ. 73);

„საუბრები. . . იმ „ეკლესიურობაზე“, რომლის მიმართაც მე სულ უფრო დიდ ალერგიას განვიცდი . . . ავადმყოფური რელიგიურობაა. და ყველა ეს ყლორტებია – ზოგი ბიზანტიაში, ზოგი „სიკეთისმოყვარეობაში“, ზოგი კუნძულ პატმოსზე, ზოგი ხატებში“(გვ.48);

„მთელი ეს აღორძინებული და ცარიელხმიანი აურზაური „სულიერებასთან“, „ბრძნულ–მქმნელობასთან“, „მართლმადიდებლობასთან“, „პალამიზმთან“ დაკავშირებით, მთელი ეს რელიგიის თამაში, თავად ღმრთისმეტყველებიდან დაწყებული – დგება მომენტი, როდესაც ყოველივე ეს აუტანელი ხდება“(გვ. 218).

პრ. შმემანი გამუდმებით ესხმოდა თავს ტიპიკონს, რომელზეც, მისი აზრით, დაიყვანება მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი „სულიერება“. ამასთან იგი, რიგ შემთხვევაში, უმეცრებას ამჟღავნებდა საღვთისმსახურებო წეს–განგების ცოდნაში. პრ. შმემანის „დღიურებიდან“ ისიც გამოსჭივის, რომ მისთვის მარხვას, იქნება ეს დიდი, საშობაო თუ სხვა, სრულიად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს პირადული ასკეზისათვის. აი, ციტატა მისი „დღიურიდან“:

„პარასკევი, 29 ნოემბერი, 1974 წ. (საშობაო მარხვა – ავტ. შენ.). . . *საუცხოო დღე! თავიდან მყუდრო, „მსუბუქი“ სადილი . . . საღამოს – ინდაური . . . შეურევნელი ბედნიერება, სავსე ცხოვრება. . . “*(გვ. 132).

„დღიურებში“ თითქმის ყოველ ფურცელზე გადმოცემული ბრალდებები მართლმადიდებლური სულიერების მიმართ აიხსნება იმავე „დღიურებში“ დაწერილი მარტივი და გულწრფელი აღიარებით:

„მე თითქმის არ ვლოცულობ, ჩემი „სულიერი“ ცხოვრება – „ღვაწლის“, „წესის“, ყოველგვარი „ბრნულად კეთების“ თვალსაზრისით, ანუ ყოველივე იმით, რაზეც მუდმივად ჩემს გარშემო საუბრობდნენ, – ნოლია“(გვ. 629).

აქედან სრულიად ნათელია, თუ რატომ აღიზიანებს პრო-

ტოპრესვიტერს მართლმადიდებლური სულიერება. მას, როგორც ჩანს, უნდოდა, რომ მართლმადიდებლობა თავის საერო ყაიდის ცხოვრებისთვის მოერგო, ანუ სულიერი მოღვაწეობისგან, ლოცვისა და მარხვისაგან თავისუფალი ცხოვრებისთვის. პიროვნული ასკეზისა და მინიმალური სულიერი ღვაწლის არმქონეს კი, ცხადია, სხვისი ასკეზა და ღვაწლი აღიზიანებდა, და იგი ამას მართლმადიდებლობის „შიზოფრენიას“ უწოდებდა. მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ შმემანის ამ დრტვინვას კი იგი მიყავდა როგორც საკუთარი სამწყსოს, ისე მთელი ეკლესიის მიმართ სამწყემსო პასუხისმგებლობის თითქმის სრულ დაკარგვამდე.

არსებობს იმის მოწმობები, რომ პრ. შმემანი, „ღვთისმსახურებისაგან დაღლილი“, ექვსფსალმუნების დროს გადიოდა სიგარეტის მოსაწევად (თავისივე აღიარებით, ის ყოველდღიურად ორ კოლოფ სიგარეტს ეწეოდა – გვ.422). „დღიურებიდან“ ჩანს, რომ „დღიურების“ წერის მანძილზე, 1973 დან 1983 წლამდე, ის მუდმივად, თვით ვნების შვიდეულში, კითხულობს საერო წიგნებს, უმეტესად ფრანგულს, და თითქმის არანაირი ჩანაწერი არ არის მართლმადიდებლური წიგნის წაკითხვასთან დაკავშირებით (კაცს უნებლიედ გახსენდება ჩვენი ქართველი ლიბერალი მღვდლები, რომლებიც თავს იწონებენ ნაკითხობით და ამავე დროს ვერ ერკვევიან საეკლესიო სწავლების ელემენტარულ საკითხებში, კატეხიზმოსა თუ ტიპიკონში.). თუმცა ერთი–ორჯერ გვხვდება ასეთი ჩანაწერი:

„შაბათი, 14 მაისი 1977წ. გვიან ღამით, უკვე ლოგინში ვკითხულობდი, უფრო სწორედ ვფურცლავდი ვალაამისეულ კრებულს იესოს ლოცვის შესახებ. უცნაური გრძნობაა – თითქოს რაღაც სხვა რელიგიის შესახებ ვკითხულობ. . . იგივე გრძნობა მქონდა, მახსოვს, როდესაც ვკითხულობდი წიგნს მამა ა. მეჩევ ზე (მეჩევი – წმ. მართალი ალექსანდრე მოსკოველი–ავტ.შენ.)“ (გვ 374);

„ოთხშაბათი, 30 სექტემბერი, 1981 . . .გუშინ ვკითხუ-

ლობდი ეპისკოპოს ეგნატე ბრიანჩანინოვის წიგნს სიკვდილის შესახებ. როგორ შეიძლება ასეთი წიგნების წერა? როგორ შეიძლება ყველაფერი ეს გჯეროდეს?“(გვ.587).

კიდევ მრავალი ციტატის მოყვანა შეიძლება პრ. შმემანის „დღიურებიდან“ და სხვა ნაშრომებიდან, რომლებიც მის არამართლმადიდებლურ ცნობიერებას მოწმობენ. მაგრამ, ვფიქრობთ, მოყვანილიც საკმარისია იმისათვის, რომ დავასკვნათ: პრ. შმემანის მოდერენისტულ სწავლებას არაფერი აქვს საერთო მართლმადიდბლობასთან.

და რა შეიძლება უწოდო იმ ადამიანის იმ სწავლებას, რომელიც მართლმადიდებლობის სულიერ ცხოვრებას „შიზოფრენიას“ უწოდებს? ცალსახად: ეს არის პრ. შმემანის სექტანტურ–პროტესტანტული შიზოფრენია.

ავთანდილ უნგიაძე
მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

მათ, ვისაც აინტერესებს პრ. შმემანი ცრუსწავლებებთან დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაცია და ანალ-იზი, მივუთითებთ წყაროებზე:

Мировоззрение отца Александра Шмемана
(http://antimodern.ru/library/schmemann/)

Идеология протопресвитера Александра Шмемана
(http://www.blagogon.ru/articles/12/)

Обновленчество.
Александр Шмеман
http://blagogon.ru/digest/280/

Секта Шмемана
http://3rm.info/religion/7943-sekta-shmemana.html

1. მიტროპოლიტ ანტონ სუროჟელის მატერიალიზმი და რელიგიური ინდიფერენტიზმი

2. მიტროპოლიტ ანტონ სუროჟელის პროტესტანტული სწავლება აღსარების საიდუმლოსთან დაკავშირებით

თბილისი 2017წ.

ბროშურაში განხილულია მიტროპოლიტ ანტონ სუროჟელის ეკლესიოლოგიური ცდომილებები, ასევე ქართულად თარგმნილ და ორ ტომად გამოცემულ ქმნილებაში „ლოცვის სკოლა“ და „აღსარების შესახებ“ მართლმადიდებლურ სწავლებასთან არსებული შეუსაბამობანი.

1. მიტროპოლიტ ანტონ სუროჟელის მატერიალიზმი და რელიგიური ინდიფერენტიზმი

ჩვენს ხელთაა მიტროპოლიტ ანტონ სუროჟელის ქართულად თარგმნილი და ორ ტომად გამოცემული ქმნილება „ლოცვის სკოლა“, რომელიც თარგმნა ქალბატონმა ხათუნა რაქვიაშვილმა და გამოსცა 2012წ..

შესაძლოა, ცოტა დაგვიანებულიც იყოს ამ წიგნების შესახებ შენიშვნების გამოთქმა, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ რუსი მოდერნისტების თარგმანები არამც თუ იკლებს, არამედ მატულობს ჩვენი ეკლესიის სივრცეში, გადავწყვიტეთ მაინც გამოგვეთქვა ჩვენი მოსაზრებები საზოგადოდ მიტ. ანტონ სუროჟელისა და, კერძოდ, ხსენებული თარგმანის შესახებ.

ჩვენთვის უცნობია, ქალბატონმა ხათუნამ თავისი ინიციატივით თარგმნა თუ ვინმეს რჩევით ხსენებული წიგნები, უცნობია, თუ ვინ მოძღვრავს მას, თუკი ვინმე მოძღვრავს საერთოდ, ჩვენთვის ასევე უცნონია ქ–ნ ხათუნასა თუ მისი სავარაუდო სულიერი მეურვის სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის შესახებ, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მან თავის თარგმანს თავში დაურთო მიტ. ანტონის ბიოგრაფიული ცნობები, მისთვის, როგორც მინიმუმ, ცნობილი უნდა იყოს მიტ. ანტონის ეკუმენისტური მოღვაწეობის შესახებ.

მართლმადიდებლურ სამყაროში კარგადაა ცნობილი, რომ მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი (ერში ანდრეა ბლუმი, 1914–2003წწ.), იყო ცნობილი „მართლმადიდებელი“ მოდერნისტი, „რელიგიური ინდიფერენტიზმის“ მქადაგებელი, ეკუმენისტური მოძრაობის აქტიური მონაწილე.

მკითხველიც რომ დარწმუნდეს ამაში, მოვიყვანოთ ამონარიდი მიტ. ანტონის ბიოგრაფიიდან:



დაიბადა 1914წ. 19 ივნისს ლოზანაში. 1923 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში საფრანგეთში. დაამთავრა ჯერ ბიოლოგიური, ხოლო შემდეგ სორბონას სამედიცინო სასწავლებლები.

1948 წელს აკურთხეს ბერდიაკონად, შემდეგ მღვდელმონაზონად. დანიშნეს წმ. ალბანიასა და ღირსი სერგის სახ. მართლმადიდებლურ–ანგლიკანური საზოგადოების[1] ხელმძღვანელად დიდ ბრიტანეთში.

1962 წლიდან სუროჟის მთავარეპისკოპოსია.

ინგლისში ხშირად გამოდიოდა ბრიტანეთის რადიოსა და ტელევიზიით. მაუწყებლობდა „ბიბისის“ რუსული სამსახურის მეშვეობით. იყო კემბრიჯის ღვთისმეტყველების საპატიო დოქტორი (1996წ). იყო ბიბლიურ–საღვთისმეტყვლო ინსტიტუტის[2] რწმუნებული და მზრუნველი. მისი სტატიები იბეჭდებოდა ჟურნალში „მართლმადიდებლური თემი“ (მ. გ. კოჩეტკოვის სექტა[3]) .

---

1. ellowship of St. Alban and St. Sergius – ეკუმენისტური საზოგადოება, რომელიც აერთიანებდა ანგლიკანებს, კათოლიკებსა და „მართლმადიდებელ“ ეკუმენისტებს. დაარსდა 1928 წელს მართლმადიდებელი ეკლესიისა და დასავლური დენომინაციების ერთმანეთთან დაახლოების მიზნით

2. მოდერნისტული და ეკუმენისტური სასწავლო–სამეცნიერო დაწესებულება.

3. მ. გ. კოჩეტკოვი – მოდერნისტული სექტის თავი, ეკუმენისტი, ადოგმატიზმის თეორეტიკოსი.

მიტ. ანტონი აქტიურად მონაწილეობდა ეკუმენისტურ მოძრაობაში. მიტ. ნიკოდიმოსთან[4] (როტოვი) ერთად იყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკელსიის ეკუმენისტურ „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში“ (ემს) გაწევრიანების ერთ–ერთი ინიციატორი. 1968–1975წწ. იყო ემს–ს ცენტრალური კომიტეტის წევრი, იყო ნიუ–დელიში (1961წ.) და უპსალაში (1968წ.) ემს–ს ასამბლეის მონაწილე; ამართლებდა მუცელში ყრმათა მკვლელობას (აბორტი), კონტრაცეფციას. იყო „ქალთა მღვდლობის“ მომხრე. მან „აკურთხა“ „მართლმადიდებელი“ ფემინისტი ელიზაბეტ ბერ–სიჟელი[5] მართლმადიდებელ ეკლესიაში ქალთა „თანასწორობის“ პროპაგანდის საწარმოებლად.

ქ–ნ ხათუნას, ალბათ, პრივილეგიად მიაჩნია ის, რომ მიტ. სუროჟელმა ღვთისმეტყველების საპატიო დოქტორის ხარისხი აბერდინის უნივერსიტეტისაგან მიიღო, ან ღირსებად რაცხავს იმას, რომ სუროჟის ეპარქია მიტ. ანტონის ხელმძღვანელობით ***„არ ჩქარობს მართლმადიდებლობაში მიიღოს სხვა აღმსარებლობის ის მიმდევარნიც კი, რომლებიც თავად გამოთქვამენ ამის სურვილს“*** (ხს. თარგმანი, ნაწ. I, გვ. 8), ან ის, რომ იყო ემს–ს ეკუმენის-

---

4. ნიკოდიმოს როტოვი, 1963 წლიდან ლენინგრადისა და ლადოჟის მიტროპოლიტი, 1960-1972წწ. მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო ურთიერთობების განყოფილების უფროსი, ცნობილი სუპერეკუმენისტი. მიტ. ნ. როტოვის აღსასრული საზარელი იყო: 1978წ. 10 აგვისტოს, წმ. მოციქულთა კანონების უმკაცრესი აკრძალვის მიუხედავად, მან იმსახურა რომის პაპ პავლე VI-ის კუბოსთან, 12 აგვისტოს - მის პანაშვიდზე. ხოლო 5 სექტემბერს, პაპ პავლე I-თან სტუმრობისას, მოხლმოდრეკის რევერანსის შესრულების დროს მას გული გაუსკდა და ფეხებში ჩააკვდა პაპს. ახდა ნეტარ პელაგია რიაზანელის წინასწარმეტყველება, რომელმაც ეკუმენისტს საშინელი და სამარცხვინო აღსასრული უწინასწარმეტყველა: „როგორც გოშია ჩაძაღლდები შენი პაპის ფეხებთან”.

5. Elisabeth Behr-Sigel (1907-2005) — დასავლეთ ევროპული „მართლმადიდებლური“ მოდერნიზმის მსხვილი წარმომადგენელი, ეკუმენისტური მოძრაობის მონაწილე, მწერალი, ფემინისტი, მართლმადიდებელ ეკლესიაში ‘ქალთა მღვდლობის“ პროპაგანდისტი.

ტური მოძრაობის აქტიური წევრი და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, კარგად დაფიქრდებოდა, ეღვაწა თუ არა ცნობილი მოდერნისტის მოძღვრების გადმოქართულებისათვის. შესაძლოა უბრალოდ დაკვეთა შეასრულა გასამრჯელოს საფასურად, ან დავალება ჰქონდა ასეთი და ყოვლად უანგაროდ აღასრულა ეს საქმე. ნებისმიერ შემთხვევაში მან საქართველოს საეკლესიოს სივრცეს შემატა მოდერნისტისა და ეკუმენისტის, მიტ. ანტონ სუროჟელის სწავლებანი.

გაკვირვებას სხვა რამ იწვევს: ის, რაც შესაძლოა ქ–ნმა ხათუნამ არ იცოდეს, ან იცოდეს და შეგნებულად იღვწოდეს რუსი მოდერნისტის მოძღვრების გასავრცელებლად საქართველოში, კარგად უნდა უწყოდეს საპატრიარქოს გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტმა (თავმჯდომარ – ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი), რომელიც სწორედ იმისთვის არის შექმნილი, რომ ჩვენი ეკლესია და მისი მრევლი დაიცვას არაეკლესიური სწავლების შემცველი ლიტერატურისაგან. იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი ლიტერატურა ყოველგვარი შეფერხების გარეშე ღებულობს ხსენებული დეპარტამენტის გრიფსა და ვრცელდება საეკლესიო მაღაზიებით, გვაფიქრებინებს იმას, რომ დეპარტამენტი არ ასრულებს თავის ფუნქციას, რაც შეგნებული დანაშაულის ხასიათს ღებულობს.

ამ აზრს ისიც გვიმტკიცებს, რომ ერთი რუსი ერეს-იერარქის ქართულ თარგმანთან დაკავშირებით ჩვენ შევიტანეთ ამ დეპარტამენტში მამხილებელი წერილი, მაგრამ ამ წერილმა ვერ მიიღო დეპარტამენტის გრიფი, რათა ხელმისაწვდომი გამხდარიყო მორწმუნეთა ფართო წრისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ იძულებულები ვართ, ისევ კუსტარული გამოცემებით შემოვიფარგლოთ და კერძო ინიციატივითა და ბროშურებით ვეცადოთ, ხმა მივაწვდინოთ მორწმუნეებს, რათა ვამცნოთ, რომ საეკლესიო მაღაზიები დაბინძურებულია მწვალებლური,

სულისთვის შხამიანი პროდუქტებით და ამაზე უპირველესი პასუხისმგებლობა ეკისრება საპატრიარქოს რეცენზირების დეპარტამენტსა და მის ხელმძღვანელს.

ახლა გადავიდეთ მიტ. ანტონის რელიგიური მრწამსისა და მსოფლმხედველობის შესახებ საუბარზე.

მიტროპოლიტ ანტონის მსოფლმხედველობისა და ზოგიერთი პოზიციის შესახებ[6]

ქვემოთ ვისაუბრებთ მიტ. ანტონის ანტიეკლესიური სწავლებების, მისი ეკლესიის სწავლებისათვის მიუღებელი და შეუფერებელი გამონათქვამების შესახებ. მავანმა შეიძლება რომელიმე საკითხთან დაკავშირებით თქვას, რომ მიტ. ანტონს თავის წიგნებსა თუ ქადაგებებში აქვს ამ საკითხზე სწორი, ეკლესიური სწავლების შესაბამისი სწავლებანი დაწერილი თუ გამოთქმული. თუკი ასეთი მართლა არსებობს, მათ მაინც არა აქვთ ფასი, ვინაიდან მიტ. ანტონის არაეკლესიურმა სწავლებამ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ხაზი გადაუსვა ყოველივეს, რაც შეიძლება მან სადმე თქვა თუ დაწერა, გარდა ერთი შემთხვევისა: თუკი მიტ. ანტონს სადმე აქვს საჯაროდ აღიარებული თავის გადაცდომა და სინანულითა და შენდობის თხოვნით აუწყებს მკითხველსა და მსმენელს სწორ სწავლებას. ასეთი შემთხვევები, ჩვენ, სამწუხაროდ, არსად გვინახავს, არსად წაგვიკითხავს და არსად გაგვიგონია. სიამოვნებით მივიღებთ მინიშნებებს ამ თემასთან დაკავშირებით.

მიტროპოლიტ ანტონის რელიგიური სოფლმხედველობის ქავაკუთხედია მისი მოდერნისტული რწმენა ყოფის,

---

6. დაინტერესებულ მკითხველს მივუთითებთ წყაროზე (http://antimodern.ru/antony_sourozh_ww/), სადაც იპოვიან მითითებებს მიტ. ანტონის მრავალ ნაშრომსა და პუბლიკაციაზე.

სხეულის, ნივთიერების განსაკუთრებულობასთან დაკავშირებით. თუ მის სწავლებას განვიხილავთ ქრისტიანობის ზებუნებრივი გამოცხადების თვალსაზრისით, მაშინ მოგვიწევს ვაღიაროთ, რომ მიტ. ანტონი იყო რელიგიური ინდიფერენტიზმის აღმსარებელი.

მოვიყვანოთ თეზისების სახით მიტ. ანტონის მსოფლმხედველურ–რელიგიური სწავლება:

1. რწმენის ჭეშმარიტება არ შეიცნობა ცნებებში. ქრისტიანობა – ეს არ არის მსოფლმხედველობა

მიტ. ანტონი ამტკიცებდა, რომ რწმენის ჭეშმარიტება ჩვენს მიერ არ შეიმეცნება ცნებებში. ის ამბობდა: ***„არ არის რწმენა, რომელიც დამყარებულია მსოფლმხედველობაზე, ცნებებზე. . . ქრისტიანული რწმენა არ არის მსოფლმხედველობა. არის მსოფლმხედველობა, რომელიც შეესაბამება რწმენას, მაგრამ რწმენის არსი ეს არ არის ცნებების სისტემა“.*** (митр. Антоний Сурожский. О вере (Доклад в Московской Духовной Академии)//Проповеди и беседы. М.: Либрис», 1991. გვ. 83, 86).

ასეთი თვალსაზრისით ხდება აღრევა ისეთ კატეგორიებს შორის, როგორიცაა რწმენა, როგორც ღმრთის ნიჭი, და რწმენა, როგორც ჭეშმარიტების რწმენა. ეს აღრევა მიტ. ანტონს სჭირდება იმისათვის, რომ დაამციროს დოგმატური რწმენა, რომლის შესახებაც ის არაერთხელ აღნიშნავდა, რომ ის არის ღვთისმეტყველთა და სქოლასტიკოსთა ხვედრი.

მიტ. ანტონის აზრით, ღმრთის შესახებ ჭეშმარიტების ცოდნა შეუძლებელია. ის თვლის, რომ მართლმადიდებლები ცრუობენ, როდესაც ამბობენ, რომ ისინი არიან ჭეშმარიტების აღმსარებლები, რადგან მათ ეს შეიძლება

იცოდნენ მხოლოდ მიახლოებით: ***„როდესაც ჩვენ, მართლმადიდებლები ვამბობთ, რომ ჩვენ გვაქვს სრული ჭეშმარიტება, ჩვენ რაღაც არამართალს ვამბობთ. ქრისტე ჭეშმარიტებაა, ღმერთი ჭეშმარიტებაა; ის, რაც მის შესახებ შეიძლება ვთქვათ – ეს ჭეშმარიტებასთან მიახლოებაა: შეიძლება კარგი მიახლოება, ან შეიძლება – შეფარდებითი“*** (митр. Антоний Сурожский. Диалог верующего с неверующим // Беседы о вере и Церкви. М.:СП Интербук, 1991. გვ. 48).

როგორც ვხედავთ, მიტ. ანტონი ყველგან ამბობს, რომ არ შეიძლება ვიცოდეთ მთელი ჭეშმარიტება. იმისათვის, რომ შევაფასოთ ასეთი მტკიცებულების სოფისტური ხასიათი, დავსვათ კითხვა: ქრისტეს ღმრთად აღიარება – ეს სრული ჭეშმარიტებაა თუ ნაწილობრივი? ეს ჭეშმარიტებაა თუ მხოლოდ მიახლოებითი ცოდნა?

მიტ. ანტონი მისი მოყვანილი მოსაზრებიდან გამომდინარე აცხადებს, რომ ეკლესიას ***„არ შეუძლია გადმოსცეს არც ის, თუ რა არის ღმერთი, არც ის, თუ როგორია მისი გზები“*** (митр. Антоний Сурожский. По поводу выражения «неразделенная Церковь» // Беседы о вере и Церкви. М.:СП Интербук, 1991. გვ. 273).

მიტ. ანტონის ასეთი ცნობიერების გამო შეუძლებელია ვიმსჯელოთ მის დოგმატურ შეხედულებებზე. როგორც ყოველი ადოგმატისტი, მას შეუძლია აღიაროს ნებისმიერი შეხედულება, და თავისთვის ჩათვალოს, რომ ეს არის მხოლოდ მიახლოებითი ჭეშმარიტება.

2. ქრისტიანობა – მატერიალიზმია.

მიტ. ანტონისათვის რწმენა მოსდევს გამოცდილებას და არა წინ უსწრებს მას. ანუ, მისი აზრით, შეიძლება ვირწმუნოთ მხოლოდ ის, რაც უკვე შევიგრძენით: ***„რწმენა უცილობლად, აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს რაღაც გამოცდილებას“*** (митр. Антоний Сурожский. О вере (Доклад в Московской Духовной Академии)//Проповеди и беседы. М.:»Либрис», 1991. გვ. 89-90).

მიტ. ანტონი საყრდენ წერტილს პოულობს იმაში, რაც ცხადია შეგრძნებებში, როგორიცაა: სხეული, მატერია, ნივთიერება. ის პირდაპირ ამბობს ***„ქრისტიანობა – ეს მატერიალიზმია“***. ის ამბობს: ***„თუკი ამ მატერიალურმა სამყარომ შეძლო დაეტია თავად ღმერთი, თუკი რაღაც ნაწილაკმა, ამ სამყაროს ფიზიკურმა ნაწილაკმა შეძლო შეერთებოდა თავად ღმერთს და მასში არ დამწვარიყო, არ დარღვეულიყო, არამედ ხელუხლებელი დარჩენილიყო, – მაშინ, მართლაც, თავად მატერია განივრცო ჩვენს თვალში სრულიად წარმოუდგენელ მასშტაბით. ამიტომაც მე ვამბობ, რომ ქრისტიანობა – ეს ერთადერთი მატერიალიზმია, რომელიც ანიჭებს მატერიას განსაკუთრებულ მნიშვნელობას“*** (митр. Антоний Сурожский. Диалог верующего с неверующим// Беседы о вере и Церкви. М.:СП Интербук, 1991. გვ. 13). ამით მიტ. ანტონი, ფაქტობრივად, უარყოფს რელიგიურ რწმენას, ღვთიურს, ზებუნებრივს, სასწულებრივს.

ამგვარად, მიტ. ანტონი ქადაგებს არა მწვალებლობას, არამედ საერთოდ გადის რელიგიური მსოფლმხედველობის ფარგლებიდან, რადგან ნივთიერებისა და მატერიის ცნება მას ესმის არა ფილოსოფიური ან ღვთისმეტყველური თვალსაზრისით, არამედ ფიზიკური თვალსაზრისით, როგორც შეგრძნებებით აღქმადი.

მიტ. ანტონის მიხედვით, მატერია გამოისახება, როგორც *„ღმერთში ცხოვრების საფუძველი“: „მატერია უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ცოცხალი, რომელსაც აქვს უნარი ღმერთთან ურთიერთობისა, რომელმაც იგი შექმნა. ამ თვალსაზრისით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მატერიის საშუალებით და თავად მატერიაში, რომლისგანაც შექმნილია ადამიანი, ადამიანს აქვს ურთიერთობა, თანაზიარება ღმერთთან. ამგვარად, იგი არა მხოლოდ მისი რაღაც მატერიალური არსებობის სუბსტრატია, არამედ მისი ღმერთში არსებობის საფუძველი... და, აი, გამოცდილებით მორწმუნენი, თავისი მსოფლმხედველობის ფარგლებში ამტკიცებენ, რომ ღვთიური მოქმედება შეიძლება მათამდე მივიდეს მატერიალური ზემოქმედების გზით“* (митр. Антоний Сурожский. Тело и материя в духовной жизни//Проповеди и беседы. М.:»Либрис», 1991. გვ. 56–57).

3. საიდუმლოებების შესახებ მკრეხელური სწავლება

აყავს რა მატერია ღმერთამდე, მიტ. ანტონი მკრეხელურად იყენებს ამას საიდუმლოებების შესახებ სწავლებაში. მისი თვალსაზრისით, საიდუმლო – ესაა „მატერიის მატერიაზე ზემოქმედება“; საუბრობს რა ნათლისღებაზე, ის ამბობს: *„აქაც საიდუმლოება, ანუ მატერიის ზემოქმედება მატერიაზე, შეეხო სულს და აისახა სამშვინველში, რომელმაც ბოლომ აღიქვა და განიცადა მომხდარი“*(митр. Антоний Сурожский. Тело и материя в духовной жизни//Проповеди и беседы. М.:»Либрис», 1991. გვ. 58).

მაგალითად, უფლის ფერისცვალება ქრისტიანისთვის – ესაა ღმრთის გამოცხადება, მიტ. ანტონისთვის კი *„ფერისცვალების დღესასწაული ჩვენ წინაშე ხსნის ღმრთის მიერ*

შექმნილი ქმნილების დიდებას“ (митр. Антоний Сурожский. Преображение Господне//Во Имя Отца и Сына и Святого Духа. Проповеди. М.:Свято-Данилов Монастырь, 1993. გვ. 18). ნაცლად სამება–ღმერთზე საუბრისა, მიტ. ანტონი საუბრობს ადამიანის, მთელი ქმნილი სამყაროს დიდებაზე. აქ მიტ. ანტონი ყველა საზღვარს სცილდება, როდესაც ამბობს, რომ ***„მთელი ქმნილება ღმრთის მიერ შექმნილია ისე, რომ მას შეუძლია იყოს არა მხოლოდ მისი მყოფობის ტაძარი და ადგილი, არამე შეუძლია შეუერთდეს თავად ღვთაებას“.*** საშინელი წარმოსადგენია, თუ რა შეერთებაზე საუბრობს მიტროპოლიტი.

პათოლოგიური თაყვანისცემა სხეულისა მიტ. ანტონის სწავლებაში, აი, ასეთ უკუღმართ მოსაზრებებს შობს მიცვალებულისთვის წესის აგების მსახურებასთან დაკავშირებით: ***„ჩვენ მოწიწებითა და სიყვარულით ვაპატიოსნებთ ადამიანის სხეულს; ამ სხეულით მოვიდა ამქვეყნად, ამ სხეულით აღიქვა მან ყოველივე, რითაც მდიდარია სოფელი, – საშინელიცა და საოცარიც. ამ სხეულით მიეახლა ის საღმრთო საიდუმლოებებს – ნათლისღებას, მირონცხებას, ზიარებას . . . სხეულის საშუალებით გამოვლინდა ალერსი და სიყვარული, სხეული ასრულებდა ქრისტეს მცნებებს“*** (митр. Антоний Сурожский. Проповедь на отпевании//Во Имя Отца и Сына и Святого Духа. Проповеди. М.:Свято-Данилов Монастырь, 1993. გვ. 59).

4. ადამიანის ცხოვრებაში ღმრთის მონაწილეობის უარყოფა

მიტ. ანტონი, ფაქტობრივად, უარყოფს ღმრთის მონაწილეობას ადამიანთა საქმეებში. მიტ. ანტონის მიხედვით, ღმერთი არ ერევა ადამიანის ცხოვრებაში, რადგან მას არა

აქვს უფლება, ძალმომრეობრივად შეიჭრას მასში: ***„თუკი ღმერთმა ნამდვილად შექმნა ადამიანი თავისუფალ არსებად, ანუ ისეთად, რომ მას აქვს პასუხისმგებლობის უნარი, მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ცხოვრებაში ვლინდებიან საქციელებით, მაშინ ღმერთს უკვე არა აქვს უფლება ამ თავისუფლებაში შეიჭრას ძალმომრეობრივად“*** (митр. Антоний Сурожский. Диалог верующего с неверующим // Беседы о вере и Церкви. М.:СП Интербук, 1991. გვ. 34). მიტ. ანტონი ხსნის, რომ ღმერთი „შეიძლება შემოვიდეს ცხოვრებაში – მაგრამ თანასწორი უფლებებით, აი, ისე, როგორც ის განკაცდა და ამის გამო იგი მოკვდა ჯვარზე“ (იქვე).

5. საშინელი სამსაჯავროს უარყოფა

მიტ. ანტონი უარყოფს ღმრთის სასჯელს ცოდვების გამო. ის ამბობს, რომ თუკი ღმერთი ადამიანს დასჯის განკითხვის დროს ცოდვებისათვის, მაშინ: ***„ის იქნებოდა ურჩხული, და არა ღმერთი, ის იქნებოდა უბოროტესი ბოროტმოქმედთა შორის“*** (митр. Антоний Сурожский. Диалог верующего с неверующим // Беседы о вере и Церкви. М.:СП Интербук, 1991. გვ. 34).

მიტ. ანტონი კატეგორიულად უარყოფს საშინელ სასამართლოს: ***„როდესაც ჩვენ წარვდგებით სამსჯავროზე, მაშინ ჩვენ გაგვასამართლებს არა ღმერთი და კანონი, ჩვენთვის უცხო და ჩვენგან განსხვავებული. ჩვენ თვითონ დავინახავთ, თუ როგორები უნდა ვყოფილიყავით, როგორები შეიძლება ვყოფილიყავით და როგორები არ ვისურვეთ რომ გავმხდარიყავით. მაშინ იქნება მწუხარება, მაშინ მართლა იქნება ტირილი, არა იმიტომ, რომ ღმერთი დაგვწყევლის და უარგვყოფს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ დავინახავთ ჩვენი მოწოდების სილამაზეს და დავინახავთ,***

თუ რა შორს ვიყავით მისგან“ (митр. Антоний Сурожский. О Священном Писании//Во Имя Отца и Сына и Святого Духа. Проповеди. М.:Свято-Данилов Монастырь, 1993. С. 70). ანუ, მიტ. ანტონის მიხედვით საშინელი სამსჯავრო სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი თვითგასამართლების სარბიელი.

6. ღმრთის დახმარების უარყოფა

მიტ. ანტონი ამტკიცებს, რომ სულიერ ადამიანს არ ჭირდება ღმრთის დახმარება: *„მე პირადად არ ვიცი თხოვნა ღმრთის მიმართ რომ იყოს ასე ან ისე; ეს ჩემთვის უცხოა; მე ვცდილობ წარვდგე მის წინაშე და უბრალოდ ლოცვით ვიყო მის წინაშე, ანუ გავიხსნა, მივეცე და ვთქვა, რომ მე მინდა სიმართლე, მე მინდა სიკეთე, მე მინდა, რომ იყოს ღმრთის ნება“* (митр. Антоний Сурожский. Диалог верующего с неверующим// Беседы о вере и Церкви. М.:СП Интербук, 1991. გვ. 18–19).

ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ლოცვა თავისი არსით - ეს არის თხოვნა. ნაცლად ღმრთისადმი მიმართვისა, მიტ. ანტონი გვთავაზობს, რომ ლოცვისას კი არ ვთხოვოთ, ანუ ვიფიქროთ, არამედ ვისმინოთ: *„მე ვიტყოდი, რომ ლოცვისას მე ვწყვეტ ფიქრს, და ვიწყებ სმენასა და ყურისგდებას რაც შეიძლება დიდი ყურადღებით“* (митр. Антоний Сурожский. Диалог верующего с неверующим// Беседы о вере и Церкви. М.:СП Интербук, 1991. გვ. 19–20).

მიტ. ანტონის გაგებით ლოცვა არის ღმერთთან შეხვედრა *„ყოფის კუთხით“: „როდესაც ადამიანი ლოცულობს. . . ის მიდის სადღაც უფრო ღრმად, ვიდრე თავისი სინდისია, იმიტომ, რომ საუბარია არა ყოველთვის რაღაც ზნეობრივ განსჯაზე, არა ყოველთვის იმაზე, რომ მოიქცეს ასე ან ისე, არა ქმედების კუთხით, არამედ თავად ყოფის*

კუთხით“ (митр. Антоний Сурожский. Диалог верующего с неверующим// Беседы о вере и Церкви. М.:СП Интербук, 1991. გვ. 39).

გასაგებია, რომ *„ყოფის კუთხით“* ლოცვა ჩვეულებრივი გაგებით შეუძლებელია, ამ დროს შესაძლებელია მხოლოდ ორი ტოლუფლებიანი არსების თანამონაწილეობა, როგორც ყოველთვის ხაზს უსვამს მიტ. ანტონი იმას, რომ ღმერთს „ჯერა“ ადამიანის, ღმერთი „პატივს ცემს“ ადამიანს. მეტიც, ღმერთს „იმედი აქვს“ ადამიანის, ღმერთს „არა აქვს უფლება“ ჩაერიოს. ღმერთი „დახმარებისათვის მიმართავს“ ადამიანს. ამიტომ ლოცვა არის არა თხოვნა, არამედ „ტოლუფლებიანთა ურთიერთობა“. მისი სიტყვებით, ღმერთს *„ჯერა ჩვენი, ყველაფრის იმედი აქვს და თავისი ძალმოსილებით შეუძლია მოგვცეს ყველაფერი, თუკი ჩვენ მას მივცემთ უფლებას, ჩვენზე ძალაუფლებას, თავისუფალი მოქმედების სივრცეს“* (митр. Антоний Сурожский. Вознесение Господне — Пятидесятница//Во Имя Отца и Сына и Святого Духа. Проповеди. М.:Свято-Данилов Монастырь, 1993. გვ. 137).

„ღმერთი ასევე გვეპყრობა ჩვენ პატივისცემით, იღებს მხედველობაში ადამიანურ ღირსებას. და აი, ღმერთს, რომელსაც პატივს სცემს ადამიანი, და ადამიანს შორის, რომელსაც ღმერთი ეპყრობა როგორც ფასეულობას, შეიძლება ითქვას, როგორც თანასწორს, შეიძლება დამყარდეს ურთიერთობა არა მათხოვრობისა, არა მონური მსახურებისა, არამედ დაფუძნებულნი რაღაც უთიერთკავშირზე, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ლოცვას“ (митр. Антоний Сурожский. Диалог верующего с неверующим// Беседы о вере и Церкви. М.:СП Интербук, 1991. გვ. 38).

„ღმერთი დახმარებისთვის მიმართავს ადამიანს; და ეს მუდმივად ხდება, და ხშირად ოდნავ შესამჩნევია, ან სრულებით შეუმჩნეველია ჩვენთვის. ღმერთი მუდმივად მოგვამრთავს ყოველ ჩვენთაგანს, გვთხოვს, გვემუდარე-

ბა, რომ დაგვითანხმოს, ვიყოთ ამ სამყაროში, რომელიც მან ისე შეიყვარა, რომ მისთვის გაწირა სიცოცხლე, ვიყოთ მისი ცოცხალი გიება, ვიყოთ მისი ცოცხალი საზრუნავი, ხილული, კეთილმოქმედი, ყურადღებიანი. ის ჩვენ გვეუბნება: რაც არ უნდა გავაკეთოთ ჩვენ კეთილი რომელიმე ადამიანისთვის – მისთვის გავაკეთეთ, მოგვიწოდებს ამით ვიყოთ როგორღაც მის ადგილზე" (митр. Антоний Сурожский. Усекновение главы Иоанна Предтечи//Во Имя Отца и Сына и Святого Духа. Проповеди. М.:Свято-Данилов Монастырь, 1993. გვ. 33).

ბოლო ციტატიდან გამოდის, რიმ *„თანაბარუფლებიანი ურთიერთობები"* არცთუ ისე თანაბარი გამოდის, რადგან მიტ. ანტონის მიხედვით: ღმერთი *„თხოვს, ემუდარება, ითანხმებს"* ადამიანს, ხოლო პასუხად ადამიანი სწორედაც რომ არ თხოვს და არ ემუდარება, რომ დაითანხმოს ღმერთი, არამედ უბრალოდ შედის *„რაღაც ურთიერთობაში"*.

7. მიტ. ანტონის სწავლება დედამიწაზე ღმერთის მეუფების შესახებ. ესაა ადამიან–შემოქმედის მეუფება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მიტ. ანტონის მსოფლმხედველობა თავისი არსით არარელიგიურია, ამიტომ პირველ ადგილზე მისთვის დგას ამქვეყნიური ცხოვრება, ყოფიერება, როგორც ამას ის უწოდებს. აქედან გამომდინარე ის ხშირად ახსენებს დედამიწაზე ღმერთის მეუფებას, რომლის შესაქმნელადაც მოწოდებულნი არიან ქრისტიანენი: *„ღმერთი შემოვიდა ცხოვრებაში და იქმს საქმეს, და ჩვენ მოგვიწოდებს, რომ გავხდეთ ამ საქმის მონაწილენი – ცხოვრების ფერისცვალების, სამყაროს ფერისცვალების, დედამიწის ზეციურ სასუფევლად გადაქცევის საქმეებისა"*

(митр. Антоний Сурожский. О званых на пир//Проповеди и беседы. М.:»Либрис», 1991. გვ. 39).

შემდეგ მიტ. ანტონის აზრი ახდენს მისთვის დამახასიათებელ აბრუნდს: ***„უფალმა ღმერთმა მეშვიდე დღეს შეწყვიტა შესაქმე, და იქიდან მოყოლებული ქმნის მხოლოდ ადამიანი“.*** ამის დასასაბუთებლად მას მოყავს კათოლიკი მოდერნისტი ღმრთისმეტყველის ციტატა: ***„შემდგომ ეს ჩვენი დედამიწა მიენდო ადამიანს. როგორც თქვა კათოლიკმა, ვენის მთავარეპისკოპოსმა კიონიგმა, ღმრთის დასვენების მეშვიდე დღე არის დღე და საათი ადამიანის შემოქმედების დაწყებისა“*** (митр. Антоний Сурожский. Беседа на приходском великопостном говении//Проповеди и беседы. М.:»Либрис», 1991. გვ. 66).

მეტიც, მიტროპოლიტის თანახმად, ადამიანმა ბოლომდე უნდა მიიყვანოს ის, რაც ღმერთმა ***„არ დაასრულა!“*** ადამიანმა სისრულეში უნდა მოიყვანოს შესაქმე: ***„ღმერთმა სამყარო შექმნა ექვს დღეში, ხოლო მეშვიდე დღეს მან განისვენა თავისი შრომისაგან, დაავალა და გადასცა მსოფლიო ადამიანის საზრუნავს. მთელი ისტორია, სამყაროს შექმნიდან მეორედ მოსვლამდე, არის ადმიანის დღე, როდესაც ადამიანმა უნდა მოიტანოს შესაქმის ნაყოფი, უნდა სისრულეში მოიყვანოს შესაქმე, ქმნილი მის შემქმნელთან შეაერთოს“*** (митр. Антоний Сурожский. Беседа на приходском великопостном говении//Проповеди и беседы. М.:»Либрис», 1991. გვ. 66).

ამ ახსნიდან გასაგებია, თუ რა ჰქონდა მხედველობაში მიტროპოლიტს, როდესაც ამბობდა, რომ ***„ღმერთი შემოვიდა ცხოვრებაში და იქმს საქმეს“.*** მას მხედველობაში აქვს, რომ ქრისტე განკაცდა, და თუკი იგი ქმნის, მხოლოდ ადამიანის სახით, და არა როგორც ღმერთი, რადგან მიტროპოლიტი საერთოდ უარყოფს მოქმედებას ***„ღმრთის სახით, ანუ მთელი თავის ყოვლისშემძლეობით, ყოვლისმცოდნეობით“.***

მიტროპოლიტი შთაგონებით საუბრობს დედამიწაზე ღმრთის სასუფევლის შესახებ. მისი ეს ცრუსწავლება სავსეა შინაგანი წინააღმდეგობებით. ერთის მხრივ, იგი ამტკიცებს, რომ მსოფლიო ძალიან ცუდია, მასშია მტრობა, ცოდვები: ***„კაცობრიობა დაეცა, მსოფლიო აუტანელი, მახინჯი, საშინელი გახდა; სიკვდილმა უსაზღვრო ხელისუფლება მიიღო, ბოროტი თითქმის თავისუფლად მოქმედებს“.*** მეორე მხრივ, იგივე ცუდი მსოფლიო – ეს უკვე ღმრთის სასუფეველია. ზუსტად ასევე, ცოდვილნიც შესანიშნავნი არიან თავისთავად.

აქედან გამომდინარე, მიტროპოლიტის მოწოდება დედამიწაზე ღმრთის სასუფევლის დამყარებისაკენ აღბეჭდილია ბუნდოვანებით. და ეს ბუნდოვანება თავში მარხავს დიდ დამანგრეველ ძალას, რადგან ღმრთის სასუფევლის დამყარებას დედამიწაზე, თურმე, ხელს უშლის, უმთავრესად, ქრისტეს ეკლესია.

8. ადამიან–შემოქმედის მეუფების დამყარებას ხელს უშლის ქრისტეს ეკლესია.

ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ ეს სოფელი ცუდია? დამნაშევე ქრისტიანები არიან, იმიტომ, რომ მათ არ გარდაქმნეს მსოფლიო. ამ მიზეზით მიტ. ანტონი ღიად მტრულ დამოკიდებულებას ავლენს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ, – მას ხომ ნამდვილად არ შეუძლია (და არც არასდროს შეეძლო) აღესრულებინა ისეთი ამოცანა, როგორსაც მიტ. ანტონი სახავს: ***„ქრისტესთან და ქრისტეს მსგავსად ქარდაექმნა მსოფლიო. . . ჩვენ, ქრისტეს მსგავსად, უნდა ვყოფილიყავით სინათლის მსგავსი, რომელიც თრგუნავს სიბნელეს, ართმევს ბნელეთს მის სიბნელეს, მის გაუმჭვირვალობას. დასავლეთის სასულიერო მწერალი***

ამბობს, რომ ქრისტიანი – ეს არის ადამიანი, რომელსაც ღმერთმა დაავალა ზრუნვა სხვა ადამიანებზე, მსოფლიოზე, ყველაფერზე“ (митр. Антоний Сурожский. Беседа на приходском великопостном говении//Проповеди и беседы. М.:»Либрис», 1991.გვ. 69).

მიტ. ანტონი ქრისტიანებისაგან ითხოვს *„სულიერ“* განახლებას. მისი აზრით ქრისტიანები დამნაშავენი არიან იმაში, რომ ისინი ვერ ხედავენ იმას, რომ ეს მიწიერი ქვეყანა უკვე არის ღმრთის სასუფეველი. ქრისტიანები განსჯიან მსოფლიოს, მაშინ, როდესაც: *„მსოფლიოს განსჯა ჩვენი საქმე არ არის, რადგან ჩვენ მასთან დაკავშირებით გვაკისრია დიდი პასუხისმგებლობა, მეტი მათთან შედარებით, რომლებიც ჩადიან უსამართლობას. ვისაც მეტი მიეცა, ამბობს უფალი, მას მეტს მოსთხოვს; . . . სხვებზე კი ქრისტე ლოცულობდა ჯვარზე: შეუნდე მათ, მამაო, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“* (რქ რივეიყივენნრყიმ ხპმყიმთნ ზთ ვეყტ სმპ. 13 თვგუყით 1967 г.).

ეკლესიას ძალიან ბევრს მოსთხოვს უფალი, ხოლო ეკლესიის გარეთ მყოფთ – თითქმის არაფერს, - ასე ახლებურად განმარტავს მიტროპოლიტი მაცხოვრის სიტყვებს: *„მონამან, რომელმან იცის ნებაჲ უფლისა თჳსისაჲ და არა განემზადოს ნებისაებრ მისისა, იტანჯოს იგი ფრიად. ხოლო რომელმან არა იცის და ქმნეს რაჲმე ღირსი ტანჯვისაჲ იგუემოს მცირედ. რამეთუ ყოველსა რომელსა მიეცა დიდად, დიდადცა მიეღოს მისგან, და რომელსა მიეცა ფრიად, უმეტესი მოჰჴადონ მას“* (ლკ. 12:47–48).

ეკლესია ჩაკეტილია თავის თავში: *„როგორ ჩაკეტილები ვართ ჩვენ! ხარებაც, სიხარულიც, სიყვარულიც, ჩვენს სულებში სიცოცხლეც ქრება, კვდება, იმიტომ რომ არა აქვთ მათ კიდეგანი სივრცე“* (митр. Антоний Сурожский. День памяти Апостолов//Во Имя Отца и Сына и Святого Духа. Проповеди. М.:Свято-Данилов Монастырь, 1993. გვ. 37).

რადგან ეკლესიას არ შეუძლია მსოფლიოს გარდაქმნის ამოცანის შესრულება, მაშინ, მიტ. ანტონის მსოფლმხედველობის მიხედვით, უნდა გადავიდეთ ამ დაცემული სოფლის გამართლებაზე, მითუმეტეს, რომ ეს დაცემული სოფელი მისთვის სრულებითაც არ არის დაცემული, არამედ სავსებით ნორმალურია.

ეკლესია კი მიტ. ანტონის მიერ იგივდება უძღები შვილის შესახებ იგავის საშინელ ძმასთან: ***„ჩვენს წინ მამაა, – მაგრამ რა საშინელებაა, რომ მის გვერდით ასე ხშირად დგას ქვისგული, შემორჩენილი, თითქოს სულიერად მკვდარი უფროსი შვილი, რომელიც ყოველთვის მამის სახლში იყო, და ეხლა არ უნდა სხვა მიიღოს“*** (митр. Антоний Сурожский. О блудном сыне//Проповеди и беседы. М.:»Либрис», 1991. გვ. 18).

მიტროპოლიტი პარადოქსალურად ამტკიცებს, რომ ქრისტიანები – არ არიან ქრისტიანები: ***„შეიძლება მე პესიმისტურად ვუდგები ჩვენს მდგომარეობას, მაგრამ ჩვენ ხომ ქრისტიანები არა ვართ. ჩვენ აღვმსარებლობთ ქრისტეს რწმენას, მაგრამ ჩვენ ამისგან გავაკეთეთ სიმბოლოები. . . ჩვენ შევცვალეთ ჯვარი – ჯვრის ხატით, ჯვარცმა – სახეხატებით, იმ საშინელების შესახებ თხრობა, რაც მოხდა – პოეტურ–მუსიკალური ქმნილებით, და როდესაც ეს მიეცემა ადამიანს, ადამიანი ადვილად ტკბება ამ საშინელებით, მეტიც, განიცდის მას, შეშფოთდება და მშვიდდება, მაშინ როდესაც ცოცხალი ადამიანის ხილვა, რომელსაც კლავენ, სულ სხვაა“*** (митр. Антоний Сурожский. Церковь должна быть так же бессильна, как Бог// О встрече. СПб.:Сатисъ, 1994. გვ. 76).

9. ეკლესიის ადგილს თანდათან არაქრისტიანები იკავებენ.

ზემოთმოყვანილი მიტროპოლიტისეული დიალექტიკიდან შეიძლება ასეთი კანონზომიერი დასკვნის გაკეთება: ქრისტეს გარეშე ცხონება – შესაძლებელია: *„ღმერთი მოქმედებს მთელ მსოფლიოში, და აცხოვნებს, შესაძლოა, მხოლოდ მოწოდებულებს, – თუკი ხმა მიეწვდინება უცხოს, და არა თავისიანს. ასე რომ აქ არა თუ ყველაფერი რთულია, არამედ გაცილებით მდიდარია შინაარსით, ვიდრე ჩვენ აღვიქვამთ: თითქოს არის რაღაც მადლის სასუფეველი, მის გარეთ კი უდაბნოა, ჩრდილოეთ პოლუსივით. . კითხვა: მაშასადამე, შესაძლებელია ქრისტეს გარეშე ცხონება? მე ვიტყოდი – დიახ; აიღეთ მოციქულ პავლეს სიტყვები იმის შესახებ, რომ წარმართები ღმრთის კანონებით ხელმძღვანელობენ, რომლებიც მათ გულებზეა დაწერილი, რომ იუდეველებიც ხელმძღვანელობენ ღმრთის კანონებით, რომელიც მიეცათ მოსეს მიერ...“* (митр. Антоний Сурожский. О некоторых категориях нашего тварного бытия// О встрече. СПб.:Сатисъ, 1994. გვ. 166).

ცხონება უკვე მიეცემათ გარაშეებს, არაქრისტიანებს: *„უფალი იტყვის: ამ ვენახისაგან ნაყოფი აღარ მივიღოთ, ეს ვენახი მოკვდა; მივცეთ მას ოდენ გახმობის საშუალება და დავწვათ. . . და მიმოიხედავს ღმერთი, და მისცემს თავის მაცხოვნებელ სიტყვას, ჭეშმარიტების სიტყვას, სიცოცხლის სიტყვას მათ, რომლებმაც არ იცოდნენ, რომლებიც ჩვენი შემოღობილის მიღმა იმყოფებიან, როგორც საწყალი ლაზარე მდიდრის კართან, და მოიღებენ ნაყოფს, და განადიდებენ ღმერთს, და იმას, რაც მან მისცა, მიიღებენ არა როგორც კუთვნილს, არამედ როგორც მოულოდნელ სიხარულს, როგორც შეუცნობელ წყალო-*

ბას, და მადლიერებით ისე დაიწყებენ ცხოვრებას, რომ ღმრთის სახელი განდიდდება ადამიანთა შორის. . . ღმრთის სამსჯავრო დაიწყება ღმრთის სახლიდან“ (митр. Антоний Сурожский. О предостережении Христа//Проповеди и беседы. М.:»Либрис», 1991. გვ. 41).

მიტ. ანტონისათვის განსაკუთრებით ახლობლები არიან პროტესტანტები, მაგრამ მათგან ნასესხები მხოლოდ რიტორიკულია. სხვა საქმეა კათოლიკი ღვთისმეტყველები, ამასთან, რა თქმა უნდა, არა ტრადიციონალისტები, არამედ მოდერნისტები, კარდინალ კიონიგის ან კარლ რანერის მსგავსნი. მათგან მიტ. ანტონი იღებს სწავლებას ეკლესიის მსოფლიოსადმი დამოკიდებულების შესახებ.

სარწმუნოებრივ, ფილოსოფიურ სფეროში კი მიტ. ანტონი ეყრდნობა იუდეველებს: გარსაკუთრებით ხშირად ის ციტირებას უკეთებს ქრისტიანთა მოძულე მაიმონდის, ასევე ხასიდ მარტინ ბუბერს (митр. Антоний Сурожский. О некоторых категориях нашего тварного бытия// О встрече. СПб.:Сатисъ, 1994. გვ. 131-132), იუდეურ ფოლკლორს.

(Когда Бога нет. http://web.archive.org/web/20111214013616/http://www.metropolit-anthony.orc.ru:80/uchites/uchites.htm).

როგორც ამბობს მიტ. ანტონი: *„მე არა ვარ ანტისემიტი, მე დიდი შთაგონებით ვკითხულობ ძველ აღთქმას, მე დიდი ინტერესით ვსწავლობ და, გარკვეულად, ვიცი არა მხოლოდ ძველაღთქმისეული, არამედ გვიანდელი ებრაული ნაწერები“* (митр. Антоний Сурожский. Тело и материя в духовной жизни//Проповеди и беседы. М.:»Либрис», 1991. გვ. 58-59). და ეს სრული სიმართლეა, რადგან მიტ. ანტონი იმოწმებს იუდეველებს არა რაღაც მეორე ხარისხოვან საკითხებში, არამედ დებს მათ დებულებებს თავისი სწავლების საფუძველში. ზემოთ ჩვენ ვახსენეთ მისი სწავლება ღმრთის შეუცნობელობის შესახებ, რომელიც მიტროპოლიტმა შეითვისა მაიმონდისაგან.

10. ეთიკური სწავლებები[7]

რადგან რწმენა, რელიგიურ ცნებათა სისტემა დარღვეულია მიტ. ანტონის ცნობიერებაში, ამიტომ მიტ. ანტონის სისტემაში სახარებისეული მცნებები კარგავენ თავიანთ პირველყოფილ შინაარსს.

მიტ. ანტონი ამტკიცებს: *„მე მეჩვენება, რომ მთელი სახარების ცენტრი არ არის ეთიკურ სწავლებაში. . . ეთიკური სწავლება – ეს წარმოებულია და თითქმის მეორეხარისხოვანია ჩემთვის. მე მეჩვენება, რომ ქრისტიანისათვის სახარების აბსოლუტური ცენტრი – ეს არის ქრისტეს ისტორიული პიროვნება, რომელიც იყო ღმერთიცა და კაციც, და თუ ამას ამოვიღებთ, მაშინ ქრისტეს სწავლება იქნება ერთ–ერთი სწავლება, რომელიც შეიძლება აღვიქვათ მეტ–ნაკლებად“* (митр. Антоний Сурожский. Диалог верующего с неверующим// Беседы о вере и Церкви. М.:СП Интербук, 1991. გვ. 12).

„ჩვენ არ გადავრჩებით იმით, რომ გულის სიმძიმით, საკუთარი თავის წამებითი იძულებით, გვახსოვს რა უფლის მცნებები, აღვასრულებთ მათ; ისინი ჩვენს სხეულსა და სულში ისე ღრმად, ისე სრულყოფილად უნდა შემოვიდნენ, რომ იქცნენ სულის ბუნებრივ მოძრაობად, და არა როგორც უბრალო მორჩილება კანონისადმი, რომელიც ჩვენ გარედან მოგვეცა. . . და თუ (ვასრულებთ მცნებებს) მხოლოდ მოვალეობის გამო, მაშინ, ღმერთო, რა შორსა ვართ ჩვენ იმისგან, რომ ვიყოთ ცის სასუფევლის შვილები!“ (митр. Антоний Сурожский. О Страшном Суде//Во Имя Отца и Сына и Святого Духа. Проповеди. М.:Свято-Данилов Монастырь, 1993. გვ. 96).

მიტ ანტონის აზრით, სათნოება ჩვენ არ გვჭირდება, ის

7. http://antimodern.ru/abort-sourozh/

„გამოირიცხება სიყვარულის მიერ“: „სიტყვა «სათნოება» ჩვენში რაღაც სრულიად მცდართან არის დაკავშირებული. ეს მოკლედ გამოთქმულია ერთი XVIII საუკუნის კათოლიკე წმინდანის მიერ: რაც უფრო აუტანელია ჩემთვის რაღაცის გაკეთება, მით უფრო სათნოა ჩემი საქციელი. . . მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ რიგითობით სათნოება მხოლოდ ამბობს, რომ შენში ცოტა სიყვარულია და შენ შორსა ხარ ცისაგან. რაღაც აზრით სათნოება გამოირიცხება სიყვარულის მიერ იმ თვალსაზრისით, თუ ვის უყვარს; ის ეცხადება მხოლოდ მას, ვინც ხედავს“(митр. Антоний Сурожский. О некоторых категориях нашего тварного бытия// О встрече. СПб.:Сатисъ, 1994. У. 175).

ქრისტიანობის ეთიკური სისტემის რღვევის შედეგი შეგვიძლია დავინახოთ მიტ. ანტონის დამოკიდებულებაში აბორტის მიმართ.

„ბიბისის“ რადიოთი გადაცემის დროს, დეკანოზ სერგი გაკელმთან საუბრისას, სიტყვა შეეხო არასრულფასოვანი, მახინჯი ბავშვის დაბადებას. როდესაც მიტ. ანტონმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ასეთი ბავშვის დაბადება მხოლოდ მშობლების ეგოისტური სურვილია, დეკანოზმა სერგი გაკელმა დასვა კითხვა:

„დეკ. სერგი: მიუხედავად ამისა, თუნდაც მახინჯი იყოს, მაინც ადამიანია, სრულფასოვანი ადამიანი. ამასთან გამოთქმული იყო ასეთი წესი, რომ ადამიანის მკვლელობა არ შეიძლება. მაშინ როგორ ეთანხმება ეს ამ საკითხს?

მიტ. ანტონი: . . .მე ვფიქრობ, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც უმჯობესია, ბავშვი არ დაიბადოს. . . ეს არაფერს, გარდა ფიზიკური ტანჯვისა და ფსიქოლოგიური აშლილობისა, არ მოიტანს. და აი, მე ვფიქრობ, რომ სამედიცინო თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, რომ, დიახ, ასეთ შემთხვევაში კანონიერი იქნებოდა აბორტის გაკეთება. იმიტომ რომ, გვაქვს კი ჩვენ იმის უფლება, რომ ათწლობით მივუსაჯოთ ფსიქიური და

ფიზიკური ტანჯვა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა დაიბადოს ბავშვი და იყოს ჩემი ბიჭი ან ჩემი გოგო? მე არ ვიცი, როგორ განვაპირობოთ ეს კანონიკურად, მაგრამ სამედიცინო თვალსაზრისით, მე ვფიქრობ, აქ არის მეტად სერიოზული საკითხი, რომელიც უნდა გადაწყვიტოს ექიმმა, თვით მორწმუნემაც ... მე შემიძლია ვთქვა ჩემი ხანგრძლივი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, რომ საქმე არ ეხება არსებული საეკლესიო კანონების გადახედვას, არამედ დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა პირობებში იქნა ისინი განცხადებული. რა იცოდნენ ადამიანებმა ცხოვრების შესახებ, სიკვდილის შესახებ, ჩასახვის შესახებ იმ დროს, როდესაც განსაზღვრულ იქნა ესა თუ ის კანონი... და როცა ჩნდება ახალი ცოდნები, ახალი გაგებები, მაშინ კანონები კი არ უნდა შევცვალოთ, არამედ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა ზომითა და რა სისრულით უნდა გამოვიყენოთ ისინი, ან გვაქვს უფლება, რომ გამოვიყენოთ ისინი".

იგივე აზრია გამოთქმული მიტ. ანტონის მიერ სხვა წყაროებში (митр. Антоний Сурожский. Вопросы брака и семьи. http://www.practica.ru/Ma/index.htm).

გასაკვირია, თუ როგორი ათეისტური და საღ აზრს დაშორებული მოსაზრებები ქონდა უკვე მხცოვან ეპისკოპოსს. ის ზრუნავს დროებითზე, ამქვეყნიურ საშვებელზე, და არ ფიქრობს მუცელში მოწყვეტილი ჩვილის ბედზე, უნათლავად მომწყდარზე, სასუფეველს დაკლებულ მარადიულ ცხოვრებაზე.

შეიძლება ამიტომაც იზიდავს მიტროპოლიტის მოსაზრებები და წიგნები ჩვენს ქართველ მოდერნისტებს, რომელთაც ტვინსა და სულს უღრღნის მწვალებლობის ჭია, რომელმაც ისინი აღძრა 90–იანი წლების ბოლოს საქართველოში მწვალებლური სწავლების დანერგვისა და „დაკანონების" მცდელობისათვის.

ქართულ თარგმანთან დაკავშირებით

შეიძლება მავანმა თქვას, – კი, ბატონო, მიტ. ანტონ სუროჟელს ჰქონდა გადაცდომები, მაგრამ ზემოთ ხსენებული ქართულად თარგმნილი და ორ ტომად გამოცემული „ლოცვის სკოლა“ თავისუფალია ამგვარი გადაცდომებისაგან. ეს ასეც რომ იყოს, რაც სამწუხაროდ ასე არ არის, მაინც უმჯობესია მართლმადიდებელმა ქრისტიანმა თავი შეიკავოს მოდერნისტი ავტორების თარგმნისაგან, მსგავსად იმისა, რომ არ უნდა ხდებოდეს, მაგალითად, ორიგენის თხზულებების თარგმნა, გავრცელება და პოპულარიზაცია, რადგან იგი არის მწვალებელი, მიუხედავად იმისა, რომ მის თხზულებებში არც თუ ცოტაა ეკლესიური სწავლების შესაბამისი სწავლებები.

გადავიდეთ მიტ. ანტონ სუროჟელის სწავლებების ხსენებულ ქართულ თარგმანზე, ორტომეულ „ლოცვის სკოლაზე“. მასში მრავალია ეკლესიის სწავლებისთვის შეუსაბამო მოსაზრებები და გამოთქმები. მოვიყვანოთ რამდენიმე მათგანი ციტატების სახით:

„ჩვეულებრივ, ლოცვით წარდგომას ვიღებთ, როგორც თავაზიან შეხსენებას ღვთისადმი იმის შესახებ, რისი გაკეთებაც მას დაავიწყდა“(ნაწ. 1, გვ.17);

„შემდეგ მკითხველს ვთხოვ, ღმერთთან ისეთი დამოკიდებულება ჰქონდეს, როგორც ცოცხალ პირთან, მეზობელთან და გამოხატოს თავისი ეს ცოდნა იმავე კატეგორიებში, რომლებშიც ის ამას ძმასთან ან მეგობართან გამოხატავს, ვფიქრობ, ეს ყველაზე მთავარია“ (ნაწ. 1, გვ.18);

„სანამ გაურკვევლობაში ვართ, არაფერი მოგვეკითხება, მაგრამ როგორც კი რაღაცას გავიგებთ, პასუხს ვაგებთ იმაზე, როგორ ვიყენებთ ჩვენს ცოდნას (ნაწ. 1, გვ.18);

„უფალი თავად ზიდავს ჩვენს უღელს ჩვენთან ერთად, ჩვენს ცხოვრებაში შემოვა; მას მეტის ზიდვაც მოუწევს, მისი ჯვარი უფრო მძიმე იქნება; ის კვლავ გაივლის გოლგოთას, თუ ჩვენ არ გვსურს და თუ ამის გაკეთება არ ძალგვიძს“ (ნაწ. 1, გვ.147–48);

„შჯული უკანონობასა და მადლს შორისაა[8]*“* (ნაწ. 1, გვ.51);

სამგალითო, ყურადღებიანი, მობილიზებული ლოცვის მაგალითად მიტ. ანტონს მუსულმანის ლოცვითი მდგომარეობა მოყავს: *„ალ აბსიხს აქვს მოთხრობა ასეთი ტიპის მობილიზაციის შესახებ. . . ყველამ იცოდა, რომ შეეძლოთ ეხმაურათ, რამდენიც მოესურვებოდათ იმ დროს, როდესაც ოჯახის თავი ლოცულობდა, რამეთუ ამ დროს მას არაფერი ესმოდა; ერთხელ ისეც კი მოხდა, რომ მას ხელი მის სახლში გაჩენილმა ხანძარმაც ვერ შეუშალა“* (ნაწ. 1, გვ.72);

„სათნოებათმოყვარეობა აღსავსეა მსგავსი მითითებებით გულისხმიერ ლოცვაზე, სუფიზმის[9] *მიერ გამომუშავებული ტექნიკური მაგალითების მოტანითაც კი“* (ნაწ. 1, გვ.107); *„ტაძარი კურთხევის შემდეგ ღმრთის სამყოფელი ხდება. . . ტაძრის გარეთ ის მოქმედებს როცა და როგორც ძალუძს; ტაძარში ის მთელი თავისი ძალაუფლებითა და ძლიერებითაა...“* (ნაწ. 1, გვ.85);

„უნდა გვახსოვდეს: ის, რასაც დღეს შევხვდებით, ჩვენთვის უცნობი იქნება, რამეთუ ღმერთი, როგორსაც მას გუშინ ვიცნობდით, ისეთი როდია, როგორადაც ძალუძს რომ თავი ხვალ წარმოგვიდგინოს“ (ნაწ. 1, გვ.114);

„მაგრამ ღვთის არყოფნაც, რომლის გამოცდაც ჩვენს ლოცვებში შეგვიძლია, გრძნობა, რომ უფალი აქ არაა, ასევე

---

8. საუბარია მოსეს მიერ ღმრთისაგან მიღებულ სჯულზე

9. სუფიზმი – ისლამის შინაგანი, მისტიკური, ფსიქო-სულიერი განზომილება. სუფიზმის მიმდევარს სუფი ეწოდება

ერთ–ერთი ასპექტია მასთან ურთიერთობისა, თანაც ძალზე ფასეული ასპექტი“ (ნაწ. 1, გვ.124);

„თუ მეუდაბნოე მამები წაგიკითხავთ, გაიხსენებთ, რომ იყო მომენტები, როდესაც ისინი, უბრალოდ, გამორბოდნენ სენაკიდან და ყვირილით ითხოვდნენ შველას, იმედოვნებდნენ, რომ ვინმეს ან რამეს შეხვდებოდნენ, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, თვით ეშმაკიც უკეთესი სანახავი იყო, ვიდრე ეს დაცარიელებული თვითჭვრეტა“ (ნაწ. 1, გვ.194);

„აღფრთოვანებული გაოცება და ტრაგიკულობის განცდა – აი, ლოცვის ორი წყარო“ (ნაწ. 2, გვ.6);

„არის ღვთის მიერ ბოძებული მომენტები (თუმცა კი არა ყოველთვის მადლმოსილი)...“ (ნაწ. 2, გვ.147);

მიტ. ანტონი ხშირად იმოწმებს თავისი სწავლებების განსამტკიცებლად კათოლიკ და პოტესტანტ ავტორებსა და მათ ნაშრომებს, როგორებიცაა: ფრანგი იეზუიტი ჟან დანიელიუ და მისი წიგნი *„წმიდა წარმართნი“* (ნაწ. 1, გვ. 33);

„ერთი ფრანგი კათოლიკე მღვდლის, ჯანა–მარი ვიანეს ცხოვრებაში არის ასეთი მონათხრობი: მოხუცი გლეხი საათების განმავლობაში უძრავად იჯდა ეკლესიაში და არაფერს აკეთებდა. მღვდელმა კითხა: რას აკეთებ ამდენ ხანს? მოხუცმა გლეხმა მიუგო: მე ვუცქერი მას, ის კი მე მიყურებს. . . და ერთად ასე კარგად ვართ!“ (ნაწ. 1, გვ.220);

დასასრული

ვფიქრობთ, მოყვანილიც საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ მიტ. ანტონ სუროჟელის ქართულად თარგმნილი და ორ ტომად გამოცემული „ლოცვის სკოლა“ არამც თუ გამოუსადეგარია მართლმადიდებელი მკითხველისათვის, არამედ შეიძლება საზიანოც იყოს. ამიტომ ვერ ვიტყვით

მთარგმნელზე, ხათუნა რაქვიაშვილზე (და შესაძლო მის მრჩევლებზე), რომ ისინი ამაოდ დაშვრენ. არა, ისინი ცუდად დაშვრენ, იმიტომ, რომ ქართული ეკლესიის სივრცეს შემატეს მოდერნისტ–ეკუმენისტის, მიტ. ანტონ სუროჟელის სულისთვის საზიანო და გონების დამაბრკოლებელი ნააზრევები, რითაც კიდევ უფრო დააბინძურეს მოდერნისტული თხზულებებით ისედაც გაჯერებული საეკლესიო მაღაზიების ქსელი.

2. მიტროპოლიტ ანტონ სუროჟელის პროტესტანტული სწავლება აღსარების საიდუმლოსთან დაკავშირებით

(ანტონ სუროჟელის წიგნის „აღსარების შესახებ“ ქართულ თარგმანთან დაკავშირებით)

„ხშირად ვამბობ, რომ ჩემი ზეციური მფარველი ბალაამის ვირია“
მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი

მოვიხილოთ მიტროპოლიტ ანტონ სუროჟელის წიგნი „აღსარების შესახებ“, თბილისი, 2011წ., რომელიც თარგმნა ქალბატონმა ხათუნა რაქვიაშვილმა და გამოსცა 2011წ.

მიტროპოლიტ ანტონის სწავლება აღსარების საიდუმლოსთან დაკავშირებით, რასაც მან მთელი წარმოდგენილი წიგნი მიუძღვნა, ეწინააღმდეგება ეკლესიის სწავლებას აღსარების შესახებ, რიგ შემთხვევებში ეს სწავლება პროტესტანტულ-მოდერნისტულია, რიგ შემთხვევებში კი აშკარად მკრეხელური და ღმრთის მგმობი.

იგი ცდილობს აღსარების საიდუმლოსთან დაკავშირებით დაამკვიდროს პროტესტანტული მიდგომა. კერძოდ ის, რომ მღვდელთან აღსარების თქმა არ არის საჭირო და რომ პირადი სინანულის საფუძველზე ღმერთს შეუძლია მოგვიტევოს ყველა ცოდვა, რის შემდეგაც ადამიანს შეუ-

ძლია მიიღოს წმინდა ზიარება. ამასთან, როგორც ეს ერეტიკოსებს სჩვევიათ, რომლებიც თავიანთი ცდომილების დასადასტურებლად ეკლესიის მამებს იმოწმებენ, ამასთან, არც თუ იშვიათად - ცილისმწამებლურად, მიტროპოლიტი ანტონი ბარსანუფ დიდის სიტყვებს განავრცობს და ამბობს შემდეგს: ***„თუ ეს გამოცდილება გავიარეთ, თუ ჩვენი ცოდვის ხილვამ მთელი თავისი უსახურობით იმდენად თავ ზარი დაგვცა, იმდენად შეგვაძულა, რომ ვგრძნობთ: ამიერიდან მასთან დაბრუნება აღარ შეიძლება, არანაირად აღარ შეიძლება, - უკვე შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ღმერთმა მოგვიტევა და, როგორც ის ამბობს, უკვე მღვდელთან აღსარებაზე მისვლაც კი აღარ არის საჭირო“*** (გვ. 17-18). რა გამოდის, მკვლელი, რომელიც მკვლელობამ შეძრა, ნანობს და ფიქრობს, რომ აღარასდოს ჩაიდენს მკვლელობას, მიტროპოლი ანტონის სიტყვებით, უკვე გამართლებულია ღმრთის მიერ და მას აღსარება და ეპიტემია აღარ სჭირდება. ამას მიამატეთ მიტროპოლიტის სიტყვები ***„მცირე და დიდი ცოდვები არ არსებობს“*** (გვ.22) და თქვენ მიხვდებით, თუ როგორ გაუკუღმარებამდე შეიძლება მივიდეს პროტესტანტული აზროვნება და ცნობიერება.

მიტროპოლიტი აღსარებამდე ცოდვის შენდობის შესაძლებლობას ქადაგებს, რასაც ასევე ბარსანუფი დიდს მიაწერს: ***„...თუ შეცოდების შემდეგ ის გაიაზრე, მთელი მისი სისაძაგლე და უსახურობა განიცადე, ამ ცოდვის მთელი საშინელება იგრძენი, ცრემლით შეინანე; და თუ მას შემდეგ, რაც ღმრთის წინაშე ილოცე, მას ყველაფერი უამბე, სულში სიმშვიდე იგრძენი, - ამ ცოდვის მღვდლის წინაშე აღიარებისათვის ნუღა წახვალ. მას, რაც ღმერთმა უკვე შეგინდო, მღვდელი ვეღარ შეგინდობს, მას ვეღარაფერს დაუმატებს“*** (გვ. 117-118).

ცოდვის არსთან მიტროპოლიტის მცდარი დამოკიდებულება მოყვანილით არ მთავრდება. იგი ამტკიცებს, რომ ცოდვას ქმედებასთან არა აქვს კავშირი: ***„ამრიგად,***

ცოდვა უბრალოდ, ამა თუ იმ საქციელში როდი მდგომარეობს“ (გვ.44).

მიტროპოლიტი აშკარად აკნინებს აღსარების საიდუმლოს იმ პრაქტიკას, რომელიც დღეს გვაქვს. ნამდვილ საიდუმლოდ კი საჯარო აღსარებას მიიჩნევს. იგი მწუხარებით აღნიშნავს, რომ თურმე წმ. იოანე ოქროპირმა შემოიტანა კერძო აღსარების პრაქტიკა, რამაც, მისი აზრით, მრევლი უპასუხისმგებლობაში ჩააგდო: ***„გარდამოცემით, მაშინ შემოიტანა იოანე ოქროპირმა ის პრაქტიკა, რომელიც გვაქვს. მან ადამიანებს მოუწოდა მასთან, მთელი სათემოს სახელით მდგომთან ელიარებინათ თავიანთი ბოროტება, ის კი სათემოს სახელით შეუნდობდა. სამწუხაროდ ამან სათემო (ჩვენი სათემო, ნებისმიერი სათემო) უპასუხისმგებლოდ აქცია. ჩვენ არ ვზიდავთ ცოდვის ტვირთს. უარვყოფთ მას, ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ: მე, როგორც ქრისტეს სხეულის ნაწილი, დაკავშირებული ვარ მასთან; ორივე ცოდვილნი ვართ, მე მისი სიმძიმე უნდა ვზიდო - წინააღმდეგ შემთხვევაში მოღალატე ვარ ქრისტესი, რომელიც საკუთარი სიკვდილით მის ჯვარს ზიდავს... მღვდელი წარმოადგენს მთელ სათემოს, რომლესაც, სამწუხაროდ, აღარ შეუძლია თითოეული და ყოველი წევრის სიმძიმე იტვირთოს“*** (გვ. 198-199). რას ნიშნავს სიტყვები, რომ მე და ქრისტე „ორივე ცოდვილნი ვართ?“ ქრისტემ ჩვენი ცოდვები იტვირთა, ამიტომაა იგი ცოდვილი? გაუგებარია, რაზე საუბრობს მიტროპოლიტი. ხომ არ მკრეხელობს?

ამ მოსაზრებას ის სხვაგანაც იმეორებს და მკრეხელობამდეც მიდის: ***„სანამ შენდობის ლოცვას წაგიკითხავდეთ, ხმამაღლა თქვით, რომ ღმერთს პატიობთ, რასაც მას აყვედრით. რამეთუ აღსარება ღმერთთან შერიგების მომენტია... უფალს უნდა შევუნდოთ ის, რაშიც საკუთარ დანაშაულს კი არ ვხედავთ, არამედ „ბედისა“*** (გვ. 55). ამგვარად, მიტროპოლიტი ღმრთის უცოდველობას კი არ ას-

წავლის, არამედ მოგვიწოდებს, ღმრთის მიმართ მიმტევებლები ვიყოთ.

მსგავსი მსჯელობისას ის ღმრთის გმობამდეც მიდის: ***„ღმერთო, შემიძლია თუ არა იმდენად გენდო, რომ არ დაგისვა კითხვა იმის შესახებ, როგორ შეგიძლია ასე მომექცე არა მხოლოდ მე, არამედ იმ საშინელებას, რომელიც ჩვენს სამყაროს დაეუფლა?. . . რით შეუძლია ღმერთს მიპასუხოს ჩემს ცხოვრებაზე, რით გაიმართლებს თავს, როგორ შემიძლია, მას შევურიგდე მანამდე, სანამ შენდობას ვთხოვ...?“*** (გვ.104-105).

არაეკლესიურია მიტროპოლიტის შემდეგი მოსაზრება: ***„ყველაფერი რაც გითხარით, უბრალოდ, ჩვეულებრივ მღვდლებს ეხება. იმ ადამიანებისთვის, ვისაც მადლი ებოძა, კანონები არ არსებობს“*** (გვ. 66).

მიტროპოლიტი ამტკიცებს, რომ ადრეულ ხანებში არსებობდა მხოლოდ საჯარო აღსარება: ***„ვიცით, რომ ქრისტიანული ჟამის დასწყისში ადამიანის კერძო აღსარება მოციქულებთან, მღვდლებთან, საერთოდ არ იყო“*** (გვ. 45). ამ მტკიცების უარსაყოფად მოვიხმოთ მოციქულ იაკობის შემდეგი სიტყვები: ***„აღუარებდით ურთიერთას ცოდვათა და ულოცევდით ერთი-ერთსა. რაჲთა განიკურნნეთ, რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ლოცვაჲ მართლისაჲ შეწევნად“*** (იაკობ., 5,16). ამ სიტყვების შინაარსს განმარტავს ეპისკოპოსი მიქაელი[10] (ლუზინი), რომელმაც სამტომეული მიუძღვნა სახარებისა და მოციქულთა განმარტებებს (Епископ Михаил (Лузин) Толковое Евангелие (в 3-х томах))

იაკობ მოციქულის მოყვანილ სიტყვებს ეპისკოპოსი მიქაელი შემდეგნაირად განმარტავს (იხ. 3-ე ტომი, გვ 167): ***„გამოთქმა - „ურთიერთას“ გულისხმობს არჩევანს, თუ ვის***

---

10. ეპისკოპოსი მიქაელი (ლუზინი) (†1887) - წმ. წერილის ავტორიტეტული ეგზეგეტიკოსი. მას პატივს მიაგებდა წმ. თეოფანე დაყუდებული

წინაშე აღვიარებდეთ - არა ყოველი ყველას წინაშე, არამედ ყოველი იმის წინაშე, რომლის წინაშეც უნდა და შეუძლია და ვინც მოწოდებულია მიიღოს მოყვასის აღსარება“.

ამგვარად, მოციქულის სიტყვები ცალსახად კერძო აღსარებაზე მიანიშნებს და არა საჯაროზე.ტი ანტონი ამტკიცებს.

ამასვე მიანიშნებენ მამათა ცხოვრების მაგალითები და მოძღვრებები, იგივეს ამბობს აღსარების საიდუმლოს მკვლევარი პროფესორი ალმაზოვი (იხ. ა. ალმაზოვი, 3-ტომეული „აღსარებაზე“), კერძოდ, იმას, რომ ძველ ეკლესიაში ორივე სახის აღსარება იყო. მათ შორის საჯარო აღსარება, როგორც ჩანს, გარკვეულ, მძიმე შემთხვევებში გამოიყენებოდა, მაგ., ქრისტეს უარყოფის დროს ან მსგავს შემთხვევებში, ან მწვალებლობაში ჩავარდნის დროს და ა.შ.

მიტროპოლიტ ანტონს თავისი თავი საჯარო აღსარების ძველი წესის აღმდგენელად მოჰყავს. მიტროპოლიტი ლონდონში მოღვაწეობისას მისდევდა საჯარო აღსარების პრაქტიკას, რომელსაც იგი დაწვრილები აღწერს წიგნის 201-202 გვერდებზე. ეს პრაქტიკა, ფაქტობრივად, იმაზე დაიყვანებოდა, რომ იგი თემის წინაშე ყველას მაგივრად ხმამაღლა ამბობდა აღსარებას, რის შემდეგაც კითხულობდა შენდობის ლოცვას. ამის შემდეგ ყველას შეეძლო მიეღო წმ. ზიარება. ქრისტიანი თავისი პირით არ აღიარებს ცოდვებს, და რაც არ უნდა შეეცოდა, შეეძლო ამ ცოდვის აღიარების გარეშე ზიარებულიყო.

მიტოპოლიტის საჯარო აღსარების პრაქტიკას არაფერი აქვს საერთო იმასთან, რასაც ძველად ჰქონდა ადგილი. აშკარად იკვეთება მისი სურვილი, რომ მას ძველი, გარკვეულ პერიოდში არსებული ტრადიციის აღდგენა კი არ სურს, არამედ სურს დანერგოს რაღაც ახალი, მოდერნისტული, საკუთარი წესი საჯარო აღსარებისა. ამასთან, თუკი იგი შენდობის ლოცვის წასაკითხად მრევლს დაჩო-

ქვისკენ მოუწოდებს - ***„თუ შეძლებთ, დაიჩოქეთ, მე კი შენდობის ლოცვას წაგიკითხავთ“*** (გვ. 208, 219), სხვაგან, პირიქით, წამოდგომისკენ მოუწოდებს ***„ახლა მუხლებიდან წამოდექით და შენდობის ლოცვა მოისმინეთ“***(გვ 231).

ამგვარად, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღსარების საიდუმლოს საკითხთან დაკავშირებით მიტროპოლიტ ანტონს აქვს ეკლესიის სწავლების უარმყოფელი მოსაზრებები. იგი გვერდს უვლის ეკლესიის ტრადიციას, პრაქტიკას, სჯულის კანონს და ცდილობს დაამკვიდროს საჯარო აღსარების გაუკუღმართებული წესი, რომელიც ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, პირადი აღსარების თქმის გარეშე ეზიაროს ქრისტეს წმ. ხორცსა და სისხლს, რაც ნამდვილად არ არის გადარჩენის გზა.

წიგნში მოთხრობილია ერთი ამბავი, რომლიდანაც ჩანს, რომ მიტროპოლიტ ანტონს მკრეხელური აზრი ღმრთისგან შთაგონებული ჰგონია (გვ. 144-146):

„ჩემთან ახალგაზრდა ქალი მოვიდა და მითხრა:

- მორწმუნე ოჯახს მივეკუთვნები...ზიარებას მაიძულებენ, მაგრამ ეს ჩემთვის აუტანელი ხდება, რამეთუ არც ღმერთის მწამს, არც ეკლესიის და არც ზიარების. როგორ მოვიქცე?

... მე ღმერთთან საუბარი დავიწყე... შემდეგ მას ვუთხარი ყველაზე საშინელი რამ, რაც კი რამ სიცოცხლეში ვინმესთვის მითქვამს. მაგრამ ეს აზრი მომივიდა და გავიმეორე:

- ხვალ, დიდ შაბათს ლიტურგიას აღვასრულებ. შენ მოხვალ ბარძიმთან, მის წინ გაჩერდები და იტყვი: „ღმერთო, შენმა ეკლესიამ მიღალატა, შენი მღვდლები ვერაფრით დამეხმარენ, მშობლები მხოლოდ მაიძულებენ და ვერაფერი მასწავლეს. ახლა შენ წინაშე ვდგევარ. თუ არ მიპასუხებ, ერთხელ და სამუდამოდ წავალ, პასუხისმგებლობა კი შენზე იქნება!“

- ამის თქმა არ შემიძლია, - მიპასუხა მან, - თუ ღმერთი არსებობს, ეს მკრეხელობაა!

- ეს უნდა თქვა, - მივუგე მე, - მკრეხელობაზე კი, თუ საჭირო იქნება, მე ვაგებ პასუხს მარადიული დაღუპვით.

მეორე დღეს ის საზიარებლად მოვიდა, დადგა, გაიმეორა ეს სიტყვები და ეზიარა“.

დასასრულს, მოვიყვანთ მიტროპოლიტ ანტონის ერთ გამონათქვამს ხსენებული წიგნიდან: ***„ხშირად ვამბობ, რომ ჩემი ზეციური მფარველი ბალაამის ვირია“*** (გვ. 165). ამ ალეგორიას ერთი სამწუხარო, ასევე ალეგორიული კითხვა მოსდევს: თავისი მფარველი ვირის „ზეცას“ ხომ არ შეუერთდა მიტროპოლიტი ანტონი?

ავთანდილ უნგიაძე
მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

სარჩევი

მორღვეული ზღუდე ივერიისანი..... 3
მიაგეთ ღმერთს ღმრთისა და ალფეევს - ალფეევისა..... 20
ალექსი ოსიპოვი – ილარიონ ალფეევის კლონი და
ეშმაკის კლოუნი 22
პრ. შმემანი და მისი სექტა..... 37
მიტროპოლიტ ანტონ სუროჟელის მატერიალიზმი და
რელიგიური ინდიფერენტიზმი 52